# სარბიელი

სპორტული გაზეთი სამშაბათი 28 თებერვალი 2006 №44 (2666) ფასი 50 თეთრი




# შოკმიოლერი

## კუნძული, ძუნძული, მოლდოვა და...




სერგეი ნამასკოს პენალტი და მეოთხე გოლი საქართველოს ნაკრების კარში

# დიდი გადადგომა: პერესი წავიდა
## ის ვერ გახდა ბერნაბეუ



დასრულდა ის, რაც უნდა დასრულებულიყო. ფლორენტინო პერესმა მადრიდის „რეალის“ ისტორიაში ერთი დიდი ფურცელი ჩაწერა: 2000 წლის 17 ივლისს გახდა „სამეფო კლუბის“ პრეზიდენტი და ამ ხუთწლინახევრის განმავლობაში მე-20 საუკუნის საუკეთესო კლუბმა 7 ტიტული მოიპოვა — ესპანეთის ჩემპიონობა (2001, 2003), ჩემპიონთა ლიგა (2002), საკონტინენტთაშორისო თასი (2002), ევროპის სუპერთასი (2002), ესპანეთის სუპერთასი (2001, 2003).

... მაგრამ 58 წლის პერესი მაინც ვერ გახდა და ვერც გახდებოდა სანტიაგო ბერნაბეუ. ამ ტიტულებს ღრმა კრიზისი მოჰყვა, ორი წელი „რეალმა“ ვერაფერი მოიგო, წლეულსაც ცარიელ-ტარიელად დარჩენა ემუქრება და სენიორ ფლორენტინო მიხვდა — მისი დრო დამთავრდა. გუშინ „სამეფო კლუბის“ დირექტორთა კრებაზე პერესმა პრეზიდენტის პოსტი დატოვა.

ვისენტე დელ ბოსკეს უცერემონიოდ გაშვება, მყვირალა, მაგრამ გამოუსადეგარი ტრანსფერები, ულიმლამო წაგებები... პერესი დამთავრდა, „რეალის“ პრეზიდენტობის მოვალეობის შემსრულებლად კი აქამომდელი ვიცე-პრეზიდენტი ფერნანდო მარტინი დაინიშნა.



## მალტის ტურნირი 2006

27 თებერვალი. ლა ვალეტა. ტა ქალი. 30 მაყურებელი
**მოლდოვა 5:1 საქართველო**

1:0, 2:0 ზისლისი (5, 13), 2:1 ცქიტიშვილი (18პ), 3:1 ალექსეევი (48), 4:1 ნამასკო (55პ), 5:1 გოლოვატენკო (72)

მოლდოვა: სტ. ნამასკო, ბულგარი, ზოლტანაჩი, გოლოვატენკო, ბოლოგამი, სერ. ნამასკო, რუდაკი, სუვოროვი, ზმეუ (ბერეგიჩი 77), ზისლისი (იაპალაუ 83), ალექსეევი

მწვრთნელი: ბორის ტროპანეცი

საქართველო: თევდორაძე, ლვინიანიძე, მახარაძე, ხიზანიშვილი, ცქიტიშვილი, ბენაშვილი (მჭედლიშვილი 58), კანკავა (კობიაშვილი 46), ასათიანი, ჭელიძე (რ. გოცირიძე 65), დ. მუჯირი, ბ. გოცირიძე (მარცვალაძე 46)

მწვრთნელი: კლაუს ტოპმიოლერი

გაფრთხილება: მუჯირი (43)

გაძევება: ხიზანიშვილი (55), ასათიანი (87)

# გუშინ მალტაზე საქართველო დაიკარგა



**გიორგი ნოზაძე**
*ვალეტადან*

კლაუს ტოპმიოლერმა ისეთივე 4-2-3-1 სქემით ათამაშა გუნდი, როგორც „ჰიბერნიანსთან". დაცვა ერთ ხაზზე განლაგდა, მარჯვნიდან მარცხნივ — მათე ლვინიანიძე, კახა მახარაძე, ზურაბ ხიზანიშვილი, ლევან ცქიტიშვილი; საყრდენი ნახევარმცველობა ჯაბა კანკავას და მალხაზ ასათიანს დაევალათ, გამთამაშებლობა დავით მუჯირს, ვისაც ფლანგებიდან ალექსი ბენაშვილი და გიორგი ჭელიძე ამოუდგნენ, ხოლო გამოკვეთილი ფორვარდი ბექა გოცირიძე იყო.

მოლდოველებმა მისალმება კი აცალეს კახა კალაძის ოჯახის ტრაგედიის გამო შავი სამკლავურებით მოთამაშე ქართველებს, მაგრამ ბევრი არ გაუჯანჯლებიათ და მე-5 წუთზევე გაიტანეს: ზმეუს მარჯვნიდან ჩაკიდებულს ზისლისმა თავი დაამგერა და 1:0 — მეკარე რევაზ თევდორაძეს უკეთესად გარჯა მართებდა, ზისლისს აუღებელი ნაღდად არ დაურტყამს.

ეს რა იყო, იმავ ზისლისმა მალე დუბლი გაიფორმა: ალექსეევი მახარაძეს გაექცა, კარიდან გამოსულ თევდორაძეს მოლდოველის დარტყმული ფეხზე მოხვდა, ბურთი ცარიელ-ტარიელ ზისლისს მიუვიდა და ესეც — 2:0.

ტოპმიოლერმა დაცვა გადააწყო: მახარაძე მარცხენა ცენტრალურ მცველად გადაიყვანა, ხიზანიშვილი კი მარჯვნივ გადასწია. უნდა ითქვას, რომ ამ ცვლილებამ პირველ ტაიმში გაამართლა, მოლდოველებს მეტი საგოლე მომენტი შესვენებამდე აღარ ჰქონიათ.

მე-18 წუთზე კი ქართველთა გოლიც გავიდა: გიორგი ნუგზარის ძე ჭელიძემ ცენტრიდან წაიღო ბურთი და საჯარიმოს სიახლოვიდან დაარტყა — ბურთი კუთხურზე გადავარდა, იქიდან ჩაწოდებისას კი კაპიტან მალხაზ ასათიანს მაისურზე დაქაჩეს და პენალტი. ლევან ცქიტიშვილმაც შანსი გამოიყენა — 2:1.

ეს იყო და ეს, ამის შემდეგ „ანტრაქტამდე" არც ერთი გუნდის მეკარეს ჯაფა თითქმის არ დასდგომია, ქართველები უპირატესობას კი ფლობდნენ, მაგრამ მეორე ტაიმში...

არ ვაჭარბებთ, მეორე ტაიმში საქართველოს ნაკრები არ არსებობდა. არავითარი ჟინი, ბრძოლა, გაბრაზება...

48-ე წუთზე ალექსეევმა 15 მეტრიდან გაიტანა — 1:3; 73-ე წუთზე ხიზანიშვილი ეუხეშა ზისლისს, მსაჯმა ჩვენიანი გააძევა და ზედ პენალტიც მიაყოლა — 1:4; თევდორაძეს მოლდოველთა ნაკუთხურალი ბურთი გაუვარდა და გოლოვატენკომ ანგარიში კატასტროფული გახადა — 1:5.

სახიფათო მომენტზე ლაპარაკიც ზედმეტია, ქართველებს მეტოქის კართან ბუზიც არ აუფრენიათ, თევდორაძის ბაქანთან კი მომენტები იქმნებოდა და იქმნებოდა.

მატჩი მთავრდებოდა, როცა ნოდარ ახალკაცს კომენტარი ვთხოვეთ, ფედერაციის პრეზიდენტმა ჯერ თავი შეიკავა, მაგრამ მერე სათქმელი თქვა: „ეს არის ელემენტარული განათლების დეფიციტი. მამაჩემს ტყუილად კი არ მოჰყავდა ფეხბურთელებთან პედაგოგები. ისინი მათ ფილოსოფიასა და ისტორიაზე ლექციებს უკითხავდნენ, ზოგად განათლებას აძლევდნენ. დროა, იგივე მეთოდებს მივმართოთ ამ მოთამაშეებთან".





...87-ე წუთზე მალხაზ ასათიანიც გააძევეს მეტოქესთან შელაპარაკებისთვის...

ნამატჩევს ნოდარ ახალკაცი ითხოვდა, ამხანაგური ტურნირია და ეგებ მალტელებთან მატჩში ხიზანიშვილსა და ასათიანს თამაშის ნება დართოთო, თუმცა უარი მიიღო და ცხელ გულზე ისიც თქვა, საერთოდ აღარ ვითამაშებთ მალტასთანო.

ხიზანიშვილი და ასათიანი კი არა, გაირკვა, რომ მასპინძლებთან სათამაშოდ საქართველოს ნაკრებს არც ერთი ლეგიონერი აღარ ჩამოაკითხავს — ითქვა, სხვადასხვა მიზეზების გამოო...

და რა უნდა ეთქვა კლაუს ტოპმიოლერს? არც არაფერი, უკომენტაროდ დატოვა სტადიონი...

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| მოლდოვა | 2 | 2 | 0 | 0 | 7:1 | 6 |
| მალტა | 1 | 0 | 0 | 1 | 0:2 | 0 |
| საქართველო | 1 | 0 | 0 | 1 | 1:5 | 0 |




# ქორიძემ კურორტი იანინაში გაცვალა

გიორგი ქორიძემ პირველ წრეში „ბორჯომისთვის" 8 გოლი გაიტანა და თავდასხმის უდავო ლიდერი იყო...

ქორიძემ სამიოდ კვირის წინ დატოვა კურორტელები და მისი ახალი კლუბის სახელი გუშინღა გავიგეთ — საბერძნეთის „იანინა", სადაც ადრე სამ ქართველს უთამაშია: ვახტანგ ხვადაგიანს, ლაშა ჯაკობიას და ლევან ქებაძეს.

„იანინა" ორი წლის წინ საბერძნეთის A დივიზიონში თამაშობდა, მაგრამ კისრისტეხით ვარდებოდა და ახლა უკვე C დივიზიონშია, სადაც მეორე ადგილი უკავია. ქორიძემ ახალ გუნდში ორი მატჩის ჩატარებაც მოასწრო...

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი
კონფერენსლიგა
გადადებული მატჩი
**ჰერეფორდი 2:0 სტივენეიჯი**

### გერმანია
II ბუნდესლიგა. XXIII ტური
**ფრაიბურგი 2:1 მიუნხენი**
*ალექსანდრე იაშვილმა 2 გოლი გაიტანა*

### იტალია
სერია B. XXX ტური
**ალბინოლეფე 2:3 ატალანტა**
სერია C1/A. XXIV ტური
**პავია 0:0 სპეცია**

### საფრანგეთი
მეორე დივიზიონი
XXVII ტური
**მონპელიე 2:1 სეტე**

### პორტუგალია
სუპერლიგა
XXIV ტური
**ბრაგა 5:0 რიუ ავე**

### შვეიცარია
ჩელენჯლიგა
XIX ტური
**ვინტერთური 3:1 ბადენი**



# რევაზ ძოძუაშვილი: ხვალ ბრაზილია, ზეგ ქუთაისი

## ტორპედო მწვრთნელს და სპონსორს ელის

ქუთაისის „ტორპედომ“ მეორე წრე „ამერთან“ საშინელი მარცხით დაიწყო, თუმცა იმერლებს უკუღმას წაღმა შებრუნების იმედი აქვთ. მომდევნო ტურში „ტორპედოს“ რევაზ ძოძუაშვილი უთავკაცებს, კიდევ რამდენიმე ხანში კი კლუბში სოლიდური სპონსორი მივა, ოღონდ მისი ვინაობა ჯერ არ ხმაურდება.

„რევაზ ძოძუაშვილი ახლა მოსკოვშია და 1 მარტს რუსეთ — ბრაზილიის ამხანაგურ მატჩს დაესწრება, 2-ში კი იგი ქუთაისში იქნება და სტუმრად თბილისის „ლოკომოტივთან“ თამაშში გაწვრთნის გუნდს. მისი ძალიან გვეიმედება“ — გვითხრა „ტორპედოს“ პრეზიდენტმა გრიგოლ ხურციძემ.

ხურციძისვე ცნობით, ხვალ „ტორპედოში“ მეკარე მირზა მერლანს ელიან, რომელიც ბოლოს ვილნიუსის „ვეტრაში“ თამაშობდა. უკვე გაფორმდა კონტრაქტები ტანმაღალ დიმიტრი პარამონოვთან და „თბილისიდან“ გადაყვანილ სულაბერიძესთან.

**ილია ნანობაშვილი**

# პროფლიგის დღეები და საათები

საქართველოს პროფესიული ფეხბურთის ლიგის ცნობით, ჩემპიონატის მატჩები მარტში 15 საათზე დაიწყება, თასის გათამაშებისა კი ძველებურად — 14 საათზე. ოღონდ, ერთი სათასო მატჩი, 7 მარტის „ზესტაფონი“ — „დინამო“, შესაძლოა, 15 საათზე იყოს, თუკი რომელიმე ტელეკომპანია პირდაპირი ეთერით ტრანსლაციას მოისურვებს.

**ლუკა თალაკვაძე**

# ჯენარო და პატარა ჯენარო

მეჩვიდმეტე ეროვნული ჩემპიონატის ლიდერ „ვიტ ჯორჯიაში“ ძმები პაატა და გიორგი დათუნაიშვილები გუნდის საკვანძო ფეხბურთელები არიან. პაატა 22 წლისაა და წლინახევრით უფროსია ძმაზე. დათუნაიშვილები ნახევარმცველები არიან, თუმცა სათამაშო სტილით მკვეთრად განსხვავდებიან ერთმანეთისგან — პაატა უფრო აგრესიული და ჟინიანია, გიორგი უფრო მშვიდი და მოაზროვნე — ისინი „ვიტ ჯორჯიასთვის“ ერთობ ფასეულ მოთამაშეებს წარმოადგენენ და ჩემპიონატშიც ერთ-ერთი გამორჩეულები არიან. მაშ ასე, „სარბიელის“ კითხვებს ძმები დათუნაიშვილები პასუხობენ...



გიორგი და პაატა დათუნაიშვილები

ბაჩო ძოთილაძის ფოტო

## წუწუნი მავნებელია ვიტ ჯორჯიასთვის

## 5 ლარი და დაბრუნებული ფულები

*პაატა:* მე და ჩემი ძმა დიდ ფეხბურთში „ვაკე 91“-დან მოვედით. ეს ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „ვიტ ჯორჯიას“ სტრუქტურაში შედის. „ვაკე 91“-შიც იგივე პოზიციაზე ვთამაშობდით — ნახევარდაცვის ცენტრში.

*გიორგი:* ჩემს ძმას ბავშვობაში ვარჯიშზე დავყავდი და ხშირად მაძლევდა რჩევებს. ფეხბურთელი რომ ვარ, ეს მისი დიდი დამსახურებაცაა. „ვიტ ჯორჯიაში“ კი 2003 წლიდან ვარ, პაატა — 2000 წლიდან.

**— ძმები ერთ გუნდში რომ თამაშობთ, ეს თქვენთვის რას ნიშნავს?**

*პაატა:* ეს, უბრალოდ, კარგია. როცა „ვიტ ჯორჯიას“ პირველ გუნდში ვერ ვხვდებოდი და თსუ-ში ვთამაშობდი, მე და გიორგი მაშინაც ერთად ვიყავით. ძმები რომ ერთ გუნდში ვთამაშობთ, ჩვენთვის დიდი სტიმულია. ადრე „ვიტ ჯორჯიაში“ ერთმანეთის კონკურენტებიც კი ვიყავით, მაგრამ ახლა მე მარჯვენა ფლანგზე გადავინაცვლე, ხოლო გიორგი ცენტრში დარჩა და ერთმანეთის უშუალო კონკურენტები აღარ ვართ.

**— კონკურენტებიო, თქვი, თუმცა თამაშის მანერით ერთმანეთს არ გავხართ...**

*გიორგი:* ეგრეა, სხვადასხვა სტილის ფეხბურთელები ვართ. „ვიტ ჯორჯიაში“ კი ყველანაირი საშუალება მაქვს, ჩემი თამაში ვითამაშო.

**— პაატა, ბოლო ხანს ახალგაზრდულ ნაკრებში აღარ გიწვევდნენ...**

*პაატა:* წინა შესარჩევ ციკლში, როცა ახალგაზრდულ ნაკრებს გოჩა ტყებუჩავა წვრთნიდა, გუნდში სამჯერ გამომიძახეს, თამაშმა კი ერთხელ მომიწია და დანიასთან გოლიც შევაგდე. ხოლო, როცა გუნდში მწვრთნელი შეიცვალა, აღარ მივუწვევივარ. რეგიონული, პირველი და უმაღლესი ლიგა — მე ყველაფერი გამოვიარე, „ვიტ ჯორჯიაში“ თითქმის სულ ვთამაშობდი, ახალგაზრდულ ნაკრებში კი მაინც აღარ მიწვევდნენ, ხოლო იმათ, რომლებიც პირველ ლიგაში თამაშობენ და უმაღლეს ლიგაში თავიანთი გუნდების ძირითადში ვერ ხვდებიან, ნაკრებში იწვევენ — ეს ყველაფერი ძალიან საწყენია, ბოლოს და ბოლოს, სათამაშო პრაქტიკა ხომ ბევრს ნიშნავს.

*გიორგი:* მე კი არც ერთ ასაკობრივ ნაკრებში არასდროს გამოვუძახებივარ...

**— „ვიტ ჯორჯიაზეც“ ვთქვათ — საქართველოში რამდენიმე გუნდს „ვიტ ჯორჯიაზე“ უკეთესი პირობები აქვს, მაგრამ ჯერჯერობით მიმდინარე ჩემპიონატის ლიდერები თქვენ ხართ — პირველ რიგში რა განაპირობებს „ვიტ ჯორჯიას“ სიძლიერეს?**

*პაატა:* „ვიტ ჯორჯიაში“ სტაბილური სიტუაციაა, გუნდში ნელნელა, ყოველწლიურად უმჯობესდება პირობები. „ვიტ ჯორჯიადან“ მიდიან წამყვანი ფეხბურთელები, მაგრამ მოდიან ახალგაზრდები, რომლებსაც ახალგაზრდული ჟინი მოაქვთ. პირობებით და ფეხბურთელთა კონტინგენტით ანუ გვარ-სახელებით, შესაძლოა, რამდენიმე გუნდი აღგვემატება, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებული ჟინი გვაქვს და რალაც-რალაცებზე რომ ვიწუწუნოთ, ამით მხოლოდ საკუთარ თავს ვავნებთ.

*გიორგი:* „ვიტ ჯორჯია“ ერთი ოჯახივითაა, ჩვენი ერთსულოვნებით ვიგებთ თამაშებს.

**— „ვიტ ჯორჯია“ და „დინამო“ — ბევრს მიაჩნია, რომ ჩემპიონობისთვის ეს ორი გუნდი იბრძოლებს — თქვენც ასე ფიქრობთ?**

*პაატა:* ჩვენს და „დინამოს“ გარდა, პირველ რიგში, „ამერი“ მიმაჩნია ისეთად, რომელიც საჩემპიონო ბრძოლაში ჩაებმება, შემადგენლობის მხრივ ძალიან ძლიერად გამოიყურება „სიონიც“.

*გიორგი:* მეც ვფიქრობ, რომ ჩემპიონობისთვის ჩვენს და „დინამოს“ გარდა სხვა გუნდებიც იბრძოლებენ.

**— კარგა ხანია, „ვიტ ჯორჯია“ „დინამოსთვის“ ერთობ უხერხულ მეტოქედ ჩამოყალიბდა. ამბობენ, რომ „დინამოსთან“ გამარჯვებისთვის „ვიტ ჯორჯიას“ ფეხბურთელებს განსაკუთრებული პრემიები აქვთ...**

*პაატა:* არა, ასე არ არის. უბრალოდ, როცა „დინამოსთან“ თამაშობ, ეს უკვე განსაკუთრებული სტიმულია ფეხბურთელისთვის.

**— თქვენ და „დინამო“ თანაბარ პირობებში როდი ხართ, „ვიტ ჯორჯიას“ არ აქვს ბაზა, სადაც სრულფასოვნად მოემზადება. მიმდინარე ჩემპიონატის მეორე წრის კალენდარი კი ისეთია, რომ კვირაში ორი ტური იმართება და ასეთ დროს მოსამზადებელ პირობებში განსხვავება უფრო მკვეთრი ხდება...**

*პაატა:* მართალია, მეორე წრის კალენდარი ყველანაირად გვირთულებს საქმეს. ისიცაა, რომ მეორე წრისთვის ისე ვერ მოვემზადეთ, როგორც გვინდოდა — ხან თოვლში ვვარჯიშობდით, ხან დარბაზში.

**— მერე და, საჩემპიონო რბოლაში რისი იმედი გაქვთ? ჟინი ერთია, მაგრამ მომზადება — მეორე...**

*პაატა:* მთავარია, სწორად გააკეთო ყველაფერი. ისეც იყო, რომ შეკრება ანთალიაში გავიარეთ, მაგრამ სეზონი ჩავაგდეთ. გადამწყვეტი ფაქტორი მაინც მონდომებაა.

*გიორგი:* როგორც უნდა იყოს, ჩვენ ჩემპიონობისა და თასის აღებისთვის ვიბრძოლებთ.

**— პაატა, „ვიტ ჯორჯიაში“ ჯენარო შეგარქვეს, ჯენარო გატუზოს ჰგავხარ თამაშის სტილითო. უმცროს დათუნაიშვილს არა აქვს თიკუნი გუნდში?**

*პაატა:* ჯენარო მაშინ შემარქვეს, როცა ახალი მისული ვიყავი „ვიტ ჯორჯიაში“. ისე, მე ყველაზე ძლიერ საყრდენ ნახევარმცველად ფრენკ ლამპარდს მივიჩნევ. ჩემს ძმას კი „ვიტ ჯორჯიას“ პატარა ჯენაროს ეძახიან.

**— სხვა კლუბებისგან რა განსხვავებული, რა განსაკუთრებული წესებია „ვიტ ჯორჯიაში“?**

*გიორგი:* კლუბის თანამშრომლებისთვის ოფისში სიგარეტის მოწევისთვის ჯარიმა 5 ლარია. „ვიტ ჯორჯიაში“, სხვა გუნდების მსგავსად, სხვადასხვა დისციპლინარული სასჯელებია ფეხბურთელებისთვის, მაგრამ ამ ჯარიმებით დაგროვილი თანხა ისევ ჩვენ, ფეხბურთელებს გვიბრუნდება — ამ ფულით ხან გამარჯვებას აღვნიშნავთ, ხან გუნდს თუ რამის შეძენა დასჭირდება, იმისთვის ვიყენებთ.

**— დისკვალიფიკაციების გამო პირველ წრეში რამდენიმე მატჩი გამოტოვე — შეგიძლია, დაჰპირდე „ვიტ ჯორჯიას“ გულშემატკივრებს, რომ მეორე წრეში სხვანაირად წავა საქმე?**

*პაატა:* ამაზე მართლა სერიოზულად ვმუშაობ და ყველანაირად ვცდილობ, თავი შევიკავო. გულშემატკივრებს ვპირდები, რომ შელაპარაკებისთვის ნაღდად აღარ მივიღებ ყვითელ თუ წითელ ბარათებს. ფეხბურთელს მოთმინება მართებს, თორემ სხვანაირად სულ წაგებული დარჩება და გუნდსაც დაალალატებს.

**დავით თავართქილაძე**

ბოლნისის „სიონში" ბოლოდროინდელი ცვლილებები ისეთი მნიშვნელოვანი გამოდგა, ეს გუნდი ჩემპიონობის ფავორიტებს შორის რომ ვახსენოთ, ვფიქრობთ, გადაჭარბებული არ იქნება.

ჯერ იყო და, „სიონის" 100-პროცენტიანი პატრონობა ბოლნისის გამგეობამ იკისრა, მერე ეს გუნდი ახალ და ამბიციურ მწვრთნელს კახა ცხადაძეს ჩააბარეს, ახლა კი ფეხბურთელების დამატებას შეუდგნენ და ჩვენი ჩემპიონატის კვალობაზე გამოცდილ ფეხბურთელებთან ერთად რამდენიმე უცხოელით გაძლიერებასაც აპირებენ.

დავით ჭიჭველიშვილი კი „სიონის" ერთ-ერთი ახალწვეულია, უფრო სწორად, ძველი ბოლნისელი, რომელიც გუნდს დაუბრუნდა. ის წინა სეზონის დამთავრების შემდეგ ყაზახეთის „ატირაუში" გადაბარგდა, იქაური ჩემპიონატი ჩაამთავრა და პირადი საქმეებისთვის საქართველოში ჩამოვიდა, თუმცა დროებით — ზაფხულში ის შესაძლოა ისევ უცხოეთში გაემგზავროს. იქამდე კი, „სიონი" დაცვას გააძლიერებს...

# დავით ჭიჭველიშვილი:
# ყაზახეთში ბევრი ფულია, საქართველოში — ბევრი გუნდი



დავით ჭიჭველიშვილი (მარცხნივ) „სიონს" მაისამდე შეუთანხმდა

— როცა საქართველოში ჩამოვედი, კახა ცხადაძე და „სიონის" ხელმძღვანელები დამიკავშირდნენ და ამ გუნდში თამაში შემომთავაზეს. ბევრი არ მიფიქრია, „სიონი" ჩემთვის უცხო არაა და წინადადებასაც დავთანხმდი, თუმცა ძველი ფეხბურთელებიდან გუნდში მხოლოდ დავით სვანიძე დამხვდა — გვითხრა დავით ჭიჭველიშვილმა.

— ყაზახეთიდან რატომ წამოხვედი?

— ჩემპიონატი დამთავრდა და წამოვედი. ყაზახეთში რუსეთივით, გაზაფხულ-შემოდგომის სისტემით თამაშობენ. ჩემი გუნდი „ატირაუ" მეათე ადგილზე გავიდა. სხვა ქვეყნებიდან მქონდა წინადადებები, მაგრამ ახლა უმნიშვნელოვანესი პირადი საქმეები მაქვს და საქართველოში ჩემი ყოფნაც აუცილებელია.

— „სიონთან" კონტრაქტი უკვე გაგიფორმებია...

— დიახ, „სიონში" მაისამდე დავრჩები.

— მერე?

— მერე, ალბათ, კარიერას ისევ უცხოეთში გავაგრძელებ. თუმცა ვნახოთ, ქართულ ფეხბურთში ვითარება სასიკეთოდ თუ შეიცვალა, ეგებ დავრჩე კიდეც.

— ყაზახეთიდან ჩამოხვედი და, საქართველოს ჩემპიონატში შეცვლილი არაფერი დაგხვდა?

— რა გითხრა, ჩემპიონატის მატჩები ჯერ არ მინახავს, მხოლოდ „სიონ" — „ლოკომოტივს" დავესწარი და ერთი თამაშით ჩემპიონატის საერთო დონეზე ვერაფერს ვიტყვი, „ლოკომოტივი" კი საკმაოდ დასუსტებულა. ისე, მგონია და მითხრეს, რომ უმაღლესი ლიგა ძველებურად ათგუნდიანი რომ ყოფილიყო, აჯობებდა.

— ახლა კი აუტსაიდერებთან ძალების დაზოგვით შეიძლება ქულების მოპოვება?

— არა, ნებისმიერ მეტოქესთან შენი პატივისცემა უნდა გამოხატო და მთელი ძალით ითამაშო. მოდუნებას არავინ გაპატიებს. ყველა გუნდი მოსაგებად იბრძვის და, თუ საქმეს რამე დააკელი, ვერ მოიგებ.

— თავად როგორ ფორმაში ხარ?

— ნელ-ნელა ვიბრუნებ ფორმას. ყაზახეთში ჩემპიონატი ნოემბერში დამთავრდა და მას შემდეგ არ მითამაშია, მაგრამ კახა ცხადაძეს ისეთი ვარჯიშები აქვს, ჩემპიონატის განახლებას, ვფიქრობ, ნორმალურად მომზადებული შევხვდები.

— „სიონის" შესაძლებლობებს როგორ შეაფასებდი?

— „სიონი" ახლა ლიდერებშია და ჩემპიონატიც ასეთი შედეგით უნდა დავამთავროთ. ყოველ შემთხვევაში, კარგი გუნდი გვყავს და როგორც ვიცი, მალე კიდევ რამდენიმე ფეხბურთელით გაძლიერება იგეგმება. ხელმძღვანელობა და ფეხბურთელები სერიოზული მიზნებისთვის საბრძოლველად მონდომებულნი ვართ, საამისო პირობებსაც არ ვუჩივით. დანარჩენს კი საქმე გამოაჩენს.

— ყაზახეთის ჩემპიონატი საქართველოსაზე მაღალი დონისაა?

— იქ გაცილებით ბევრი ფული ტრიალებს და, შესაბამისად, დონეც უფრო მაღალია. ყაზახეთი უკრაინელი და რუსი ლეგიონერებით სავსეა, ნელ-ნელა კი სხვა ქვეყნებიდანაც ჩადიან. შენდება სტადიონები, კეთდება მოედნები, აშკარად იგრძნობა, რომ ყაზახეთში სერიოზულად არიან ფეხბურთით დაინტერესებულნი და მალე, ალბათ, ეს ქვეყანა საერთაშორისო სარბიელზეც უფრო წარმატებით ითამაშებს.

**ქოგა ინასარიძე**

# ხოჯავამ სპარტაკი სოჭში დაკარგა
## დაიბრუნებს თბილისი ძველ ატიანს?



გოჩა ხოჯავა (შუაში) შესაძლოა „თბილისში" დაბრუნდეს

**ნალჩიკის** „სპარტაკმა" 16 ფეხბურთელს გაუფორმა კონტრაქტი და იყო ვარაუდი, რომ მათ შორის გოჩა ხოჯავაც იქნებოდა. 20 წლის ქართველი გამთამაშებელი ყაბარდოელებს ბოლოსწინა შეკრებაზე ახლდა, რამდენიმე ტესტ-მატჩში ითამაშა და ერთი გოლიც შეაგდო, მაგრამ შეთანხმება ვერ მოხერხდა.

„სპარტაკი" ახლა სოჭშია შეკრებაზე და მისმა თავკაცმა იური კრასნოჟანმა განაცხადა, შემადგენლობის დაკომპლექტება დავამთავრეთ, ვინც სოჭში მიგვყავს, ჩემპიონატშიც ისინი ითამაშებენო.

ნალჩიკიდან წამოსული ხოჯავა კი ახლა „თბილისში" ვარჯიშობს და კლუბის პრეზიდენტმა გოჩა თამაზაშვილმა გვითხრა, არაა გამორიცხული, სეზონის ბოლომდე ჩვენთან ითამაშოსო. ეს საკითხი ორიოდ დღეში უნდა გადაწყდეს.

**ილია ნანობაშვილი**

# კრილიამ მუჯირი დაადასტურა. ვიზა — ვერა

ეროვნული ბიბლიოთეკა



დავით მუჯირი ქართველია, მაშასადამე...

დავით მუჯირს, რომელიც ახლა სანაკრებო მატჩებისთვის მალტაზეა, როგორც გუშინ ვწერდით, სამარის „კრილია სოვეტოვთან" კონტრაქტის გაფორმება შესაძლოა რუსეთის ვიზის მიუღებლობამ ჩაუშალოს...

— დიახ, გუნდის მწვრთნელი გაჯი გაჯიევი ქართველი ფეხბურთელის შესაძლებლობებით ძალიან კმაყოფილი დარჩა და დიდი სურვილი აქვს, ის „კრილიაში" ათამაშოს, მაგრამ გაუთვალისწინებელი პრობლემების გამო შესაძლოა დავით მუჯირი ველარ გადმოვიყვანოთ. საქართველოს მოქალაქეებისთვის რუსეთის ვიზების შეზღუდვამ ამ ტრანსფერის შესაძლებლობას კითხვის ნიშანი დაუსვა. ვნახოთ, კლუბი ყველანაირად ეცდება, რომ მუჯირთან კონტრაქტი გააფორმოს — გვითხრა გუშინ „კრილია სოვეტოვის" პრეს-ატაშე მაქსიმ შესტნოვმა.

„კრილიამ", რომელიც ახალი სეზონისთვის ესპანეთში ემზადებოდა, ქართველი ნახევარმცველი რამდენიმე დღის წინ მიიღო, ორი ვარჯიშის შემდეგ კი მწვრთნელმა მუჯირის შეძენის სურვილი გამოთქვა. ფეხბურთელი და კლუბი პირობებზეც თითქმის მორიგებულნი არიან, მაგრამ ვიზა...

ამჟამად სამარელები მზადებას კისლოვოდსკში განაგრძობენ, მუჯირთან ხშირი კონტაქტი აქვთ და შესტნოვის თქმით, ქართველთან კონტრაქტის გაფორმების იმედი ჯერ არ დაუკარგავთ. არაა გამორიცხული, ქართველი სამარას მალტური ტურნირის დამთავრებისთანავე ესტუმროს და სავიზო პრობლემების მოგვარება რუსებთან ერთად სცადოს.

შეგახსენებთ, დავით მუჯირი ავსტრიულ „შტურმს" ამ რამდენიმე დღის წინ ფინანსური გაუგებრობის გამო დაშორდა. კლუბი ფეხბურთელს ხელფასს უგვიანებდა, რისთვისაც მუჯირმა სასამართლოში იჩივლა.

**ქოგა ინასარიძე**

# თვალ თვალი



ეს ამბავი „შევარდენზე" მოხდა — მეორე წრის პირველ ტურში თბილისური „სპარტაკი" გორის „დილას" მასპინძლობდა და შესვენებაზე მატჩის დელეგატი შოთა ბაქრაძე მინდორზე გაიჭრა.

ფეხბურთი დემოკრატიული თამაშია, ზანგი და ჩუქჩა, მდიდარი და ღარიბი — ყველას აქვს უფლება და ყველას მიუწვდება ხელი ფეხბურთის სათამაშოდ. ჰოდა, ნურც დელეგატ ბაქრაძეს დავძრახავთ...



# არავითარი თუმც და მაგრამ

## მარცვალაძემ კონტრაქტი გააფორმა

ოთარ მარცვალაძე ახლა მალტაზეა საქართველოს ნაკრებთან ერთად. მოგეხსენებათ, ოთარის კიევის „დინამოში“ გადასვლა ორიოდ კვირის წინ გადაწყდა, თუმცა ოფიციალურად კონტრაქტის გაფორმება ყოვნდებოდა და, როგორც გუშინ კიეველთა თავკაცმა ანატოლი დემიანენკომ თქვა, სანერვიულო აღარაფერია, მარცვალაძეს კონტრაქტი უკვე გაუფორმებია.

„ქართველი ფორვარდი კიევის „დინამოს“ სრულფასოვანი წევრია. ისიც და ტარას მიხალიკიც ჩვენთან სამივე შეკრებაზე იყვნენ, ორივემ მშვენიერი შთაბეჭდილება დატოვა, გამოცდილ ფეხბურთელებს არაფერში ჩამოუვარდებოდნენ და მოსვენებას არ აძლევდნენ, რათა მათი სახით კონკურენტი ეგრძნოთ“ — განაცხადა დემიანენკომ.

კიეველთა მწვრთნელმა ისიც თქვა, ვისაც ჩვენთან ერთი შეკრებაც არ გაუვლია, მეორე წრეში ვერ ვათამაშებთო. ლაპარაკია „დინამო 2“-ის ფეხბურთელებზე და მათ შორის ალბათ კახა ალადაშვილზეც — ასე რომ, კახას დინამოელთა მეორე გუნდში მოუწევს ბურთაობა, თუმცა ახალი სეზონიდან მარცვალაძესთან მოხვედრის პერსპექტივაც ექნება.

**ილია ნანოგაშვილი**

2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი. B ჯგუფი

**ჩვენი მეტოქე**

# ტოტმოჭრილი სკუადრა

**ხვალ** იტალია — გერმანიაა ფლორენციის „არტემიო ფრანკიზე“. აბა, ამ მატჩის ინტერესზე ზედმეტი როგორ ვილაპარაკოთ, მაგრამ ახლა ქართველთა ყურადღება ორმაგია: „სკუადრა აძურა“ ხომ 2008 წლის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ჩვენების მეტოქეა.

მარჩელო ლიპიმ გერმანელებს 23 ფეხბურთელი გაუმზადა, რომელთა შორის, ცხადია, არ არიან ტრავმირებულები ფრანჩესკო ტოტი და ჯანლუკა ძამბროტა. სამაგიეროდ, ლიპიმ ნაკრებში დააბრუნა „რომას“ ნახევარმცველი სიმონე პეროტა და რაც შეეხება დებიუტანტს, ასეთი ერთადერთია — „ფიორენტინას“ მცველი მანუელ პასკუალი.



მარჩელო ლიპი

*მეკარეები:* *ჯანლუიჯი ბუფონი (იუვენტუსი), მარკო ამელია (ლივორნო), მორგან დე სანქტისი (უდინეზე);*

*მცველები:* *ანდრეა ბარძალი (პალერმო), ფაბიო კანავარო (იუვენტუსი), ფაბიო გროსო (პალერმო), მარკო მატერაცი (ინტერი), ალესანდრო ნესტა (მილანი), მასიმო ოდო (ლაციო), მანუელ პასკუალი (ფიორენტინა), კრისტიან ძაკარდო (პალერმო);*

*ნახევარმცველები:* *სიმონე ბარონე (პალერმო), მაურო კამორანეზი (იუვენტუსი), დანიელე დე როსი (რომა), აიმო დიანა (სამპდორია), ჯენარო გატუზო (მილანი), სიმონე პეროტა (რომა), ანდრეა პირლო (მილანი), ალესანდრო დელ პიერო (იუვენტუსი);*

*თავდამსხმელები:* *ალბერტო ჯილარდინო (მილანი), ლუკა ტონი (ფიორენტინა), ვინჩენცო იაკინტა (უდინეზე), კრისტიან ვიერი (მონაკო, საფრანგეთი).*

**ილია ნანოგაშვილი**

# ქართველები უცხოეთში

# ქეცბაიამ ომონს ესროლა

**ამ** უქმეებს ქართველ ფეხბურთელთა აქტივში ნამდვილად ვერ ჩავწერთ — მხოლოდ სამმა ჩვენიანმა ითამაშა 90 წუთი, რაც ბოლო ხანს ძალიან იშვიათად მომხდარა.

„მილანს“ დააკლდა *კახა კალაძე*, რაც ყველასთვის ცნობილი მიზეზის გამო მოხდა — შაბათს მისი ძმა ლევანი დაკრძალეს და, ბუნებრივია, საქართველოს ნაკრების კაპიტანი დროებით სამშობლოში ჩამოვიდა. უკალაძეო „მილანმა“ შავი სამკლავურებით ითამაშა „პალერმოსთან“ და 2:0 მოიგო. კარლო ანჩელოტის გუნდმა ფილიპო ინძაგის და ანდრეი შევჩენკოს გოლებით იმარჯვა.

ბუნდესლიგაში ორივე „ქართულმა“ გუნდმა მოიგო. *ლევან კობიაშვილის* „შალკემ“ 2:0 სძლია „ნიურნბერგს“ — ჩვენებურმა ისევ მარცხენა მცველად ითამაშა და 90 წუთი დაყო მოედანზე; „ვოლფსბურგმა“ კი *ლევან ცქიტიშვილის* გარეშე დაამარცხა „ჰანოვერი“ და სატურნირო ცხრილში მე-13 ადგილზეა.

ქართველი ფეხბურთელის, *ზურაბ ხიზანიშვილის* გარეშე ითამაშა „ბლექბერნმაც“ და თანაც საკმაოდ მოულოდნელი შედეგი აჩვენა — მარკ ჰიუზის შეგირდებმა თვით ლონდონის „არსენალი“ დასცეს — 1:0.

ერთ ტრავმირებულ „ჰოლანდიელ“ *გოგა გახოკიძეს* მეორეც მიემატა — *შოთა არველაძემ* ტრავმა გაიმიზეზა და „ალკმაარ“ —



შოთა არველაძე მალევე შესაცვლელი გახდა

პსვ-ს მატჩის მე-15 წუთზე შესაცვლელი შეიქნა. ამის გამო შოთა საქართველოს ნაკრებსაც დააკლდა. „ალკმაარმა“ კი 1:2 წააგო და მეორეადგილოსან „ფეიენოორდს“ უკვე ოთხი ქულით ჩამორჩება.

კვიპროსული დერბი 2:2 დასრულდა — „ანართოსისმა“ სტუმრად მედგარი წინააღმდეგობა გაუწია „ომონიას“ და ქულა აართვა, არადა, მოგებაც შეძლო. ფამაგუსტელთა მოთამაშე-მწვრთნელმა *თემურ ქეცბაიამ* 77-ე წუთზე 35 მეტრიდან უძლიერესი დარტყმით 2:1 დააწინაურა თავისიანები, მაგრამ მათ უპირატესობის შენარჩუნება ველარ შეძლეს და...

**კახა შალამბერიძე**

| სახელი გვარი | გუნდი | სად | მეტოქე | წთ | შენიშვნა | თ | გ | ა |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| **იტალია. სერია A** | | | | | | | | |
| კახა კალაძე | მილანი | ს | პალერმო 2:0 | 0 | | 17 | 1 | 2 |
| **გერმანია. ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| ლევან კობიაშვილი | შალკე | შ | ნიურნბერგი 2:0 | 90 | | 22 | 2 | 4 |
| ლევან ცქიტიშვილი | ვოლფსბურგი | შ | ჰანოვერი 2:1 | 0 | | 14 | 0 | 13 |
| **გერმანია. მეორე ბუნდესლიგა** | | | | | | | | |
| დავით სირაძე | აუე | ს | ზაარბრიუკენი 1:1 | 32 | შეცვლაზე ითამაშა | 4 | 0 | 13 |
| **გერმანია. ჩრდილოეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| ხვიჩა შუბითიძე | ზტ. პაული | ს | ობერჰაუზენი 0:0 | 18 | შეცვლაზე ითამაშა | 18 | 1 | 2 |
| **გერმანია. სამხრეთ რეგიონალლიგა** | | | | | | | | |
| მიხეილ საჯაია | ბაიროითი | შ | *კარლსრუე—გადადო* | 0 | | 16 | 12 | 11 |
| **ინგლისი. პრემიერლიგა** | | | | | | | | |
| ზურაბ ხიზანიშვილი | ბლექბერნი | შ | არსენალი 1:0 | 0 | განაცხადში არ იყო | 17 | 0 | 5 |
| **ჰოლანდია. ერედივიზიონი** | | | | | | | | |
| შოთა არველაძე | ალკმაარი | შ | პსვ 1:2 | 15 | შეცვალეს | 24 | 20 | 3 |
| გოგა გახოკიძე | ტვენტე | ს | ვალვაიკი 0:0 | 0 | ტრავმირებულია | 13 | 0 | 9 |
| **ისრაელი. უმაღლესი ლიგა** | | | | | | | | |
| გიორგი დემეტრაძე | მ. თელ ავივი | შ | ჰ. ნაზარეთი 1:1 | 20 | შეცვლაზე ითამაშა | 3 | 0 | 5 |
| **საბერძნეთი. ეროვნული ლიგა** | | | | | | | | |
| ლევან მაღრაძე | ქსანთი | შ | ირაკლისი 1:0 | 0 | | 16 | 0 | 4 |
| **კვიპროსი. პირველი დივიზიონი** | | | | | | | | |
| თემურ ქეცბაია | ანართოსისი | ს | ომონია 2:2 | 90 | 1 გოლი | 15 | 4 | 4 |
| კლიმენტი ნიტაიშვილი | ანართოსისი | ს | ომონია 2:2 | 35 | შეცვლაზე ითამაშა | 16 | 3 | 4 |
| გიორგი გაბიდაური | ანართოსისი | ს | ომონია 2:2 | 0 | | 5 | 0 | 4 |
| ამირან მუჯირი | ანართოსისი | ს | ომონია 2:2 | 0 | | 5 | 1 | 4 |
| ლევან ქებაძე | აშნა | შ | ოლიმპიაკოსი 4:0 | 90 | | 15 | 5 | 10 |

*შენიშვნა: შ — შინ, ს — სტუმრად, თ — თამაში, გ — გოლი, ა — გუნდის ადგილი ლიგაში*

# მომავლის სენსაცია

## სლავური ბაზარი იტალიურ-ინგლისურ მეგამარკეტში: შევჩენკო ჩელსიში



„ჩელსი“ დიდ გარიგებას ამზადებს „მილანთან“ და 50 მილიონ გირვანქად ანდრეი შევჩენკო მიჰყავს. თავად ფეხბურთელიც მზადაა, მსოფლიოს ჩემპიონატის შემდეგ შეუერთდეს რომან აბრამოვიჩის გუნდს. მის ახლო კაცს ინგლისური მედიისთვის ასე უთქვამს: „ანდრეი მხოლოდ ერთ შემთხვევაში წავიდოდა „მილანიდან“, თუ მას „ჩელსი“ მიიწვევდა და ასეც მოხდა“. ჟოზე მაურინიუ შარშანაც ცდილობდა მის შეძენას, ოღონდ „მილანმა“ იუარა. აგვისტოში შევჩენკო 30-ისა ხდება და „მილანისაც“ გასაგებია. მით უმეტეს, როცა აბრამოვიჩს უთქვამს, უკრაინელს ნებისმიერ თანხად შევიძენო.

# ინგლისელებმა „თხა და გიგო“ გადაიღეს

## მთავარ როლში დევიდ ბექემი



**დევიდ ბექემმა** თავისი უფროსი ვაჟის, ექვსი წლის ბრუკლინის საშინაო დავალება ვერ გამოიყვანა. ამის შესახებ იუწყება გაზეთი „მირორი“.

ბრუკლინს მამისთვის უთხოვია, დამეხმარეო, ბექემს კი წიგნი აქეთ-იქით უტრიალებია და ვიქტორიასთვის დაუძახია.

„მგონი, მათემატიკა იყო — უთქვამს ბექჰს — ჩემ დროს ასეთი არაფერი მინახავს, ჩავცქეროდი და ვფიქრობდი: ღმერთო, ვერ გამომყავს. პროგრამები ძალიან გაურთულებიათ“.

ბრუკლინ ბექემი კერძო „რანიმედ კოლეჯში“ სწავლობს მადრიდში.

„მირორმა“ კი 6 წლის ბავშვებისთვის განკუთვნილი ამოცანების პირობები გამოაქვეყნა. მაგალითად: ბეტი მალაზიაში 11 საათსა და 45 წუთზე შევიდა. ნახევარ საათში კი გამოვიდა რომელ საათზე გამოსულა მალაზიიდან?

ანდა მეორე: იყოფა თუ არა 12 სამზე?

ამოცანა საბოლოოდ ვიქტორიას გამოუყვანია.

**ირაკლი გამყრელიძე**

# ერიკსონი ახურებს

## ძველებსაც და ახლებსაც

**ხვალ** ინგლისის ნაკრები ურუგვაელებს ეთამაშება და სვენ გორან ერიკსონი ერთი-ორ ახალ კაცსაც მოსინჯავს და დავიწყებულებსაც შეამოწმებს.

ნაკრებში გამოძახებულია წლეულს 17 გოლის გამტანი „ჩარლტონის“ თავდამსხმელი დარენ ბენტი.

ნაკრების თავდასხმის წყვილი ოუენ-რუნია, თუმცა პირველ ამათგანს ტრავმა აქვს და სასტარტოში შესაძლოა „ლივერპულის“ პიტერ კროუჩი გამოჩნდეს. მის სათადარიგოდ კი ბენტი იყოს. გამოძახებულია აგრეთვე ტოტენჰემელი ჯერმენ დეფოც. სამომავლოდ, ალბათ სწორედ ისა და ბენტი წაეჭიდებიან ერთმანეთს ადგილისთვის.

გუნდში ხუთი მანჩესტერელია დაძახებული, ამდენივე ტოტენჰემელი და ჩელსელი. იქავეა აწ „ფულემში“ მყოფი უეინ ბრიჯი, რომელიც ტრავმირებული ეშლი კოულის ადგილს იჭერს და იქავეა ვესლი ბრაუნიც, რომელიც „რეალელი“ ჯონათან ვუდგეიტის კიდევ ერთი ტრავმას ენაცვლება. ნაკრებს დაუბრუნდა გარი ნევილიც, რომელიც თავის ჩვეულ ადგილს დაიჭერს. მოულოდნელი შანსი მიეცა მანჩესტერელ კირან რიჩარდსონს, დაცვის ცენტრს რიო ფერდინანდი და ჯონ ტერი გაამაგრებენ. შუაში ბექემი იქნება ჩვეულ ადგილზე, მარცხენა მხარეს კი ჯო კოული. ნახევარდაცვას ფრენკ ლამპარდი და სტივ ჯერარდი შეკრავენ, თუ ეს უკანასკნელი ჯანზე მოვა საკვირაო ტრავმის შემდეგ.

**ირაკლი გამყრელიძე**



ვესლი ბრაუნი

*მეკარეები:* პოლ რობინსონი (ტოტენჰემი), რობერტ გრინი (ნორვიჩი), დევიდ ჯეიმსი (მანჩესტერ სიტი);

*მცველები:* ლუკ იანგი (ჩარლტონი), უეინ ბრიჯი (ჩელსი), ჯონ ტერი (ჩელსი), ვესლი ბრაუნი (მანჩესტერი), რიო ფერდინანდი (მანჩესტერი), ლედლი კინგი (ტოტენჰემი), გარი ნევილი (მანჩესტერი), ჯეიმი კარაგერი (ლივერპული);

*ნახევარმცველები:* ფრენკ ლამპარდი (ჩელსი), დევიდ ბექემი (რეალი, ესპანეთი), სტივენ ჯერარდი (ლივერპული), ჯო კოული (ჩელსი), ჯერმენ ჯენასი (ტოტენჰემი), შონ რაიტ-ფილიპსი (ჩელსი), მაიკლ კარიკი (ტოტენჰემი), კირან რიჩარდსონი (მანჩესტერი);

*თავდამსხმელები:* უეინ რუნი (მანჩესტერი), პიტერ კროუჩი (ლივერპული), ჯერმენ დეფო (ტოტენჰემი), დარენ ბენტი (ჩარლტონი)

# ფერგიუსონი: რიკელმე



„მანჩესტერ იუნაიტედი“ „ვილიარეალის“ ვარსკვლავის, ხუან რომან რიკელმეს შეძენით დაინტერესდა. სერ ალექს ფერგიუსონი „რეინჯერს“ — „ვილიარეალის“ სალიგო თამაშს იმიტომ დაესწრო, არგენტინელი ნახევარმცველის შესაძლებლობებს რომ დაჰკვირვებოდა. „ფერგიუსონი მზადაა, რიკელმეში ძალიან დიდი თანხა გადაიხადოს. კარგა ხანია, არგენტინელი „მანჩესტერის“ სატრანსფერო ინტერესებშია“ — აცხადებს „დეილი მირორი“.

რიკელმეში ინგლისელები, სავარაუდოდ, 18 მილიონ ევროს გაიმეტებენ, თუმც თუ 27 წლის ფეხბურთელი მსოფლიოს ჩემპიონატზე გამოირჩა, მისი ფასი მნიშვნელოვნად მოიმატებს. შეგახსენებთ, რომ რიკელმეს ყიდვა „მანჩესტერის“ გარდა იტალიურ „ინტერსა“ და მადრიდის „რეალსაც“ სურთ.

**ლადო ხომერიკი**

ეროვნული ბიბლიოთეკა



# მთელი სამყარო თეატრია?

# პორტუგალიელმა აფრები აუშვა

## მაურინიუ ზღაპარს ამბობს: გადათამაშება

**ჟოზე მაურინიუმ** „ბარსელონასთან“ საჩემპიონთალიგო მერვედფინალის პირველი მატჩის გადათამაშება მოითხოვა. „ჩელსის“ ჭირვეულმა თავკაცმა ორიოდე დღის წინ **SKY TV**-სთან ინტერვიუში თქვა, „სტემფორდ ბრიჯზე“ მსაჯმა ჩვენი მცველი ასიერ დელ ორნო უსამართლოდ გააძევა, რის გამოც უეფამ 22 თებერვლის მატჩის შედეგი უნდა გააუქმოს (!) და „ჩელსი“ — „ბარსაც“ ერთმანეთს ხელახლა უნდა შეხვდნენო.

„ორი თვის წინ თქვენს ეთერში ესიენის მიერ ჰამანის დაშავების მომენტს გულდასმით ატრიალებდით. ესიენი თამაშის დროს ყვითელი ბარათით დაისაჯა, **SKY TV**-ს მიერ ნაჩვენები კადრების შემდეგ კი ორმატჩიანი დისკვალიფიკაცია აჰკიდეს. მაინტერესებს, მესისა და დელ ორნოს შეჯახებას რატომ არ უჩვენებთ? მთელმა მსოფლიომ უნდა ნახოს, მესიმ რა თეატრიც მოგვიწყო, მსაჯი როგორ გააბრიყვა და დელ ორნო ტყუილად გააგდებინა. უეფა ამ ფაქტებს ყურადღებით რომ დააკვირდეს, „ჩელსი“ — „ბარსელონას“ აუცილებლად გადაათამაშებენ“ — განაცხადა სეუ ჟოზემ მედიასთან საუბარში. მაურინიუ აქამდე „სტემფორდ ბრიჯზე“ მესის ვითომცდა სიმულანტობისთვის არგენტინელი ფორვარდის დასჯას ითხოვდა, ახლა კი უფრო შორს წავიდა და უეფას მერვედფინალის პირველი მატჩის ხელახლა ჩატარება მოსთხოვა.

პორტუგალიელის განცხადებებს, ცხადია, კატალონიური მედია უმალ გამოეხმაურა. „ჟოზე მაურინიუ „ჩელსის“ წაგებაში მსაჯ ტერიე ჰაუგეს ადანაშაულებს. არბიტრმა „ჩელსის“ ორჯერ აპატია ასპროცენტიანი პენალტი — ჯერ ჯერემიმ ითამაშა ხელით საკუთარ საჯარიმოში და მერე ჯონ ტერიმ მოცელა ლეო მესი კართან ახლოს. საინტერესოა, მაურინიუ რა უფლებით ლაპარაკობს გადათამაშებაზე?“ — წერდა გუშინდელი „ელ მუნდო დეპორტივო“.

ზემოთ ნახსენები ჯონ ტერი, „ჩელსის“ კაპიტანი, სკანდალური თავკაცისგან განსხვავებით, არა პირველი მატჩის გადათამაშებას, არამედ „კამპ ნოუზე“ მეორე რაუნდში თავისი გუნდის გამარჯვებას ესწრაფვის. „შარშანდელ სეზონში „მანჩესტერთან“ „ოლდ ტრეფორდზე“ ორივე თამაშში გავიმარჯვეთ, ამ სეზონში კი „არსენალს“ „ჰაიბერიზე“ მოვუგეთ, „ლივერპულს“ — „ენფილდზე“. „ჩელსი“ ბედს არ შერიგებია, ჩვენი მიზანი ახლა „კამპ ნოუზე“ საჭირო ანგარიშით მოგება და ლიგის მეოთხედფინალში გასვლაა“ — უთხრა ტერიმ კატალონიურ „სპორტს“.

**ლადო ხომერიძე**

## მატერაცი-მანჩინი და...

# ბალაკი

## იტალიური ხელების ქნევა გერმანელის ფეხის გაქნევამდე

**ყველაფერი** იქით მიდის, რომ მომავალ ზაფხულს გერმანიის ნაკრებისა და მიუნხენის „ბაიერნის“ ლიდერ მიხაელ ბალაკს მილანის „ინტერის“ მაისურაში ვიხილავთ. მხარეები მოლაპარაკებებს აწარმოებენ და, როგორც საქმეში ჩახედული ხალხი ამბობს, საცაა, მორიგდებიანო.

„დიდი იმედი გვაქვს, რომ მიხაელის შენარჩუნებას შევძლებთ, თუმცა ყველაფერი ბალაკზე და იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორ დასრულდება „ინტერთან“ მოლაპარაკება“ — თქვა „ბაიერნის“ დირექტორმა კარლ-ჰაინც რუმინეგემ.

იტალიურ-გერმანული პრესის ცნობით, „ინტერი“ ბალაკს ხუთწლიან კონტრაქტს და 15 მილიონ გირვანქას სთავაზობს. ეს წინადადება ყველაზე კონკრეტული და მიმზიდველია სხვა გრანდებთან შედარებით, რომლებსაც ასევე სურთ გერმანელის ხელში ჩაგდება. თუმცა, ბალაკი მაინც სამი მილიონით მეტს ითხოვსო. საბოლოო გადაწყვეტილებას კი ნახევარმცველი ალბათ მარტში მიიღებს, ამას ამბობს მისი აგენტიც.

„მიხაელ ბალაკი ყველაზე მეტად გვაინტერესებს და სიტუაციას ვაკონტროლებთ. ამჟამად მეტს ვერაფერს გეტყვით“ — განაცხადა „ნეროაძურის“ მფლობელმა მასიმო მორატიმ.

ამასობაში გრძელდება მითქმა-მოთქმა მარკო მატერაცისა და „ინტერის“ თავკაც რობერტო მანჩინის შელაპარაკების შესახებ. მათ შორის უსიამოვნო საუბარი ჩემპიონთა ლიგაში „აიაქსთან“ მატჩის წინ ყოფილა. მილანელთა მცველის აზრით, იგი ზედმეტად ხშირად ზის სათადარიგოთა სკამზე. მატერაცი ერთადერთი იტალიელი ფეხბურთელია, რომელიც ფრანჩესკო ტოლდოს გარდა „ნეროაძურის“ ძირითად შემადგენლობაში ხვდება ხოლმე და ფანების ერთ-ერთი უსაყვარლესი მოთამაშეცაა. ამბობენ, სეზონის ბოლოს იგი გუნდს დატოვებსო, მაგრამ მანჩინი ჯერჯერობით ამაზე არ საუბრობს.

„იმ ინციდენტზე საუბარს არ ვაპირებ და ძალიან სამწუხაროა, რომ ჭორები აგორდა. მე და მარკომ უბრალოდ ვიკამათეთ, ეს ჩვეულებრივი ამბავია. ყველა ყოველთვის კმაყოფილი ვერ იქნება, მაგრამ რაც გასახდელში ხდება, იქვე უნდა დარჩეს, ზედმეტი ლაპარაკი და ზღაპრების გამოგონება არაა საჭირო“ — აღნიშნა მანჩინიმ.

აპენინურ ჟურნალ-გაზეთებში ისიც დაიწერა, მანჩინი ფეხბურთელებს მეგობრობის და პირადი ურთიერთობის მიხედვით არჩევს და არა მათი სათამაშო ფორმის გათვალისწინებითო. ცხადია, „ინტერის“ თავკაცმა ეს ყველაფერი უარყო.

რობერტო მანჩინი: „მე პირდაპირი ადამიანი ვარ და სათქმელს ყველას პირში ვეუბნები. გადაწყვეტილებებს კი გუნდის სასიკეთოდ ვიღებ და მეგობრობა არაფერ შუაშია. შეიძლება, მოთამაშეებს, რომლებთან ერთადაც მრავალი წელი გამიტარებია, ცოტა მეტი თავისუფლება ეძლევათ, რადგან მათი შესაძლებლობები და ხასიათი სხვებზე კარგად ვიცი, მაგრამ შემადგენლობას პირადი ურთიერთობების მიხედვით ნამდვილად არ ვარჩევ. თუმცა შეცდომები მეც მომდის და ეს ბუნებრივია, შეუცდომელი არავინაა“.

**გიორგი ქაქაბაძე**



მიხაელ ბალაკი



# რეალის იმედი რაფაზე დევს

**მადრიდის** „რეალი“ ეძებს იდეალურ მწვრთნელს, რომელსაც კრაზანების ბუდედ ქცეული სამეფო გუნდის ერთ მუშტად შეკვრა და ჯილდოების მოგება შეუძლია. თავდაპირველად „სანტიაგო ბერნაბეუს“ დამრიგებელი მომავალი სეზონიდან თითქოს ფაბიო კაპელო უნდა ყოფილიყო, მერე არსენალელ არსენ ვენგერზე ალაპარაკდნენ, ხოლო ახლა ჩანს, „რეალის“ თავკაცებს მომავალი სეზონისთვის მადრიდში „ლივერპულის“ ამჟამინდელი მწვრთნელის, რაფაელ ბენიტესის ჩაყვანა განუზრახავთ.

წარმოშობით მადრიდელი ბენიტესი გალაქტიკური კლუბის მომავალ დამრიგებლად დიდი ხანია მოიაზრება. თუმცა სადღეისოდ რაფას აქციები „რეალის“ პრეზიდენტის თვალში განსაკუთრებით მაღალია. როგორც ესპანური „მარკა“ და „ასი“ გვაცნობებენ, პრეზიდენტ პერესის მიერ შედგენილ სავარაუდო მწვრთნელთა სიას ბენიტესი ლიდერობს. მადრიდელთა აგენტებმა „ლივერპულის“ დამრიგებელი უკვე მოინახულეს და ბენიტესსაც ესპანეთის სატახტოში დაბრუნების მაცდურ იდეაზე უარი არ უთქვამს. თავის დროზე ნიჭიერი რაფა „რეალის“ ახალგაზრდულ შემადგენლობებს მოძღვრავდა და გალაქტიკოსების მოთოკვა მისთვის ძნელი არ უნდა იყოს...

მას შემდეგ, რაც ფერნანდო მორიენტესი მადრიდიდან „ლივერპულში“ გადავიდა, რაფაელ ბენიტესი „რეალის“ უფროსობასთან კარგ ურთიერთობებს ინარჩუნებს. სენიორ ფლორენტინო პერესმაც მშვენივრად იცის, რაფას თავისი ფეხბურთელების სასწაულებრივად მომზადება და ტიტულების მოგება რომ შეუძლია — „ვალენსიაში“ და „ლივერპულში“ ამ კაცის საქმიანობა გაიხსენეთ.

მოკლედ, ესპანურ მედიას თუ ვენდობით, „ლივერპულის“ თავკაცს „რეალი“ 2006-07-ის სეზონისთვის ჩააბრძანებს და ერთადერთი სირთულეც ბენიტესის და პრეზიდენტი პერესის სატრანსფერო საქმეებზე მორიგება იქნება (ლივერპულში რაფა თავად წყვეტს ვინ შეიძინოს და ვინ გაასხვისოს, ხოლო „რეალში“ სატრანსფერო ამბები მხოლოდ პერესის ნებას ემორჩილება).

ეს ყველაფერი სამომავლოდ, ახლანდელ „რეალს“ კი ისევ ლოპეს კარო თავკაცობს — მაჩანჩალა „მალიორკასთან“ საწყენი მარცხის მიუხედავად, გუნდის უფროსობა უილბლო მწვრთნელის წინააღმდეგ არ ილაშქრებს. „პრიმერადივიზიონის დამთავრებამდე 13 ტურია დარჩენილი და სეზონის ბოლომდე ჩვეულ ფორმაში აუცილებლად ჩავდგებით“ — განაცხადა ლოპეს კარომ „ასთან“ ინტერვიუში.

**ლადო ხომერიძე**

*ექვსი წლის წინ საქართველოს ნაკრების მაშინდელმა თავკაცმა კლოდ სორელმა ბორჯღალოსანთა შერკინებაში ადგილი რომ ანდო, 20 წლის* **დავით ბოლღაშვილს** *შინაური ჩემპიონატიდან თუ იცნობდნენ. იქიდან მოყოლებული „ბოლღა" ბორჯღალოსანთა უცვლელი რაზმელი იყო და ჯერ კიდევ გამოუცდელმა 2001 წელს ბუქარესტში რუმინეთთან თავისი საუკეთესო მატჩიც ითამაშა. ის ჯახი ჩვენებმა მოიგეს და პირველად დაეუფლნენ ერთა თასს. ბოლო ორი წელია, ბოლღაშვილის სანაკრებო და საკლუბო კარიერა გაუფერულდა და აქა-იქ თუ გამოჩნდება ხოლმე. „დაკარგულ" მორკინალს საფრანგეთში მივაკვლიეთ*



ბადრი კეთილაძის ფოტო

— „ლილში" სეზონის დასაწყისში გადავედი. ამ კლუბში სამი-ოთხი წლის წინ ვთამაშობდით მე და ირაკლი მოდებაძე. მაშინ კლუბს დიდი მიზნები არ ჰქონდა, ახლა კი ვითარება საგრძნობლად გაუმჯობესდა — *გვითხრა დავით ბოლღაშვილმა, საფრანგეთში რომ დავუკავშირდით.*

**— თქვი, რომ სერიოზული მიზნები გაუჩნდათო, აქამდე „ლილი" მხოლოდ ადგილობრივი უნივერსიტეტის კლუბი იყო...**

— სეზონის წინ კლუბის მმართველობაში შეძლებული ხალხი მოვიდა და თუ „ლილი" აქამდე სამოყვარულო გუნდი იყო, პროფესიული სტატუსი მიანიჭეს. პირველი, რაც გააკეთეს „ლილში" გააერთიანეს გარეუბნების კლუბები და ერთ გუნდად აქციეს. ასე რომ, „ლილი" მარტო უნივერსიტეტის და სტუდენტური კლუბი აღარაა. მართალია, ჯერ ფედერალ 2-ში, ანუ რანგით მეოთხე დივიზიონში ვთამაშობთ, მაგრამ ერთი ლიგით ზევით ასვლის შანსი გვაქვს, თანაც ძალიან რეალური. ამ მომენტისთვის მე-2 ადგილზე ვართ, ირაკლი აბუსერიძის „ორლეანი" გვისწრებს. ფედერალ 1-ში პირდაპირ მხოლოდ პირველადგილოსანი ადის, მეორიდან მეექვსე ადგილებზე გასული გუნდები კი პლეი ოფის სისტემით დამატებით ერთი საგზურისთვის თამაშობენ. პირველ წრეში „ორლეანს" შინ მოვუგეთ, ახლა სტუმრად გვიწევს თამაში. ერთი სიტყვით, ყველაფერი ამ მატჩზეა დამოკიდებული. ერთი სული მაქვს, როდის შევხვდები „აბუს", მოედანზე სისხლი უნდა გავუშრო.

**— რა დაგიშავა?**

— ჩვენ ბავშვობის მეგობრები ვართ და ნაკრებშიც ერთად ვთამაშობდით. „ორლეანს" სახლში რომ მოვუგეთ, სადაც „აბუს" ვნახავდი, იქითკენ გავრბოდი და გვქონდა ერთი დაკა-დაკა. იმათ და ჩვენს მწვრთნელებს თვალები შუბლზე აუვიდათ, ესინი რა ამბავში არიანო. ერთმანეთი მაგრად ვალილავეთ და ვიხალისეთ კიდეც. „აბუ" დამპირდა, ორლეანში რომ ჩამოხვალ, ცოცხალი ვერ გამასწრებო. სიტყვა უნდა გავატეხინო. ისე, ერთ რამედ ღირდა იმ მატჩის ყურება. აბუსერიძემ მითხრა, ფრანგებს ჰგონიათ, მოსისხლე მტრები არიანო, არადა, ძმაკაცები ვართ და ასეთ მომენტს ჩვენი ოინების გარეშე ვერ „შევირგებდით".

**— „ლილის" კაპიტანი ხარ, ფრანგულ კლუბებში კი ასეთი პატივი ბევრი სახელიან უცხოელს არ ღირსებია...**

— როდესაც „ლილში" დამაბრუნეს, მაშინ მითხრეს, რომ გუნდის ლიდერად მთვლიდნენ. „ლილში" მანამდეც ვიყავი ორი წელი და თან საქართველოს ნაკრების წევრი ვარ. ასე რომ, დამდეს პატივი და გუნდის კაპიტნობა დამავალეს. ჩემს კანდიდატურას თანაგუნდელები ერთხმად დათანხმდნენ.

**— შენს გარდა სხვა ლეგიონერებიც არიან „ლილში"?**

— ოთხი რუმინელი, ერთი არგენტინელი და ერთიც სამხრეთაფრიკელი გვყავს. ახლახან სამი ფრანგი მორაგბე დაიმატეს, რომლებსაც საფრანგეთის ელიტარულ ლიგაში აქვთ ნათამაშები. მათ ტრავმები აწუხებთ, ამიტომ ელიტკლუბებში პრობლემები შეექმნათ. ჩვენთან კი დრო მისცეს, უმკურნალებენ და სამომავლოდ გამოიყენებენ.

**— ქართველი მორაგბეების დამატებასაც ხომ არ აპირებთ?**

— საახალწლო შესვენებისას უნდოდათ ერთი გარემარბის და ერთიც 10 ნომრის დამატება. მე მალხაზ ურჯუკაშვილი და პალიკო ჯიმშელიძე შევთავაზე. მაგრამ ეს ვერ მოხერხდა. ურჯუკაშვილი ჩვენს ლიგაში თამაშობს. აქაური წესებით ერთი და იგივე ლიგის კლუბებს ერთმანეთში ტრანსფერები ეკრძალებათ, ხოლო ჯიმშელიძეს „ბობინთან" სეზონის ბოლომდე აქვს კონტრაქტი და კლუბმა არ გამოუშვა. თუმც, როგორც ვიცი, სიტყვიერი შეთანხმება ორივესთან მიღწეულია და მომავალი სეზონისთვის დაგვემატებიან.

**— „ლილში" პირობებიც კარგი იქნება...**

— რაც ახალი უფროსობა მოვიდა, პირობები საგრძნობლად გაუმჯობესდა. ლეგიონერები ბინით, მანქანით და ნორმალური ხელფასით უზრუნველყოფილნი ვართ. მე ცოლშვილიც აქ მყავს. რადგან მეოთხე ლიგაა, არავინ იფიქროს, რომ დაბალი დონეა. აქაური მეოთხე ლიგა იტალიის უმაღლეს და ინგლისის მეორე-მესამე ლიგას სჯობია. ისეთი ბაზა და მოედნები გვაქვს, ბევრი ქვეყნის ეროვნულ ნაკრებსაც არ დაესიზმრება. თანაც ახლა „ლილი" პროფესიული კლუბი გახდა და ელიტასაც ვუმიზნებთ.

**— ამ დროს კი ნაკრებში აღარ ჩანხარ...**

— ალბათ, ასე გადაწყვიტეს მწვრთნელებმა. შარშან ვითამაშე სამი-ოთხი მატჩი, იმედი მქონდა, რომ წლეულს სანაკრებო სეზონსაც დავიწყებდი, მაგრამ სხვანაირად გამოვიდა. შეიძლება, ამიერიდან დავჭირდე და დამიძახონ. რუმინეთთან მატჩამდე საფრანგეთში ჰქონდათ ჩვენებს შეკრება და მწვრთნელებიც ვნახე და ბიჭებიც. ნაკრებზე არ გვილაპარაკია, ისე, მოვიკითხეთ ერთმანეთი, მაგრამ ვიგრძენი, რომ ჩემი იმედი აქვთ და ვახსოვარ.

**ბაჩო სვანიძე**

სუმო



# შავი ზღვა ადიდდა

## ქართველები იაპონიაში დააწინაურეს

**სუმოს** უმაღლეს დივიზიონ მაკუტიში გუშინ ახალი რეიტინგსია გამოკიდეს. ჩვეულებრივი ამბავია და საერთოდაც არ მივაქცევდით ყურადღებას, რომ არა პირველი ევროპელი პროფესიონალი სუმოისტი ლევან ცაგურია. კოკაიდ, ანუ „შავ ზღვად" მონათლულ ქართველს პირველ წლევანდელ ტურნირზე, იანვრის ბაშოზე ნაჩვენები დადებითი ბალანსი სათანადოდ დაუფასდა — თუ აქამდე დასავლეთ დივიზიონის მეორე მაეგაშირად იწოდებოდა, მომავალ ბაშოზე უკვე პირველი იქნება.

კოკაის კიდევ უფრო მაღლა, დიდი სუმოს მეოთხე იერარქიულ საფეხურზე ასვლაც შეეძლო. აკი ინტერვიუში თავადაც გვითხრა იანვრის ბაშოს შემდეგ, კომუსუბის წოდების შანსიც მაქვსო, მაგრამ ყველაზე რეალური იმთავითვე პირველი მაეგაშირობა იყო. სეზონის გამხსნელ ტურნირზე ერთი ბრძოლით მეტი რომ მოეგო, კომუსუბის წოდება გარანტირებული ექნებოდა.

მაკუტის 42-კაციან სიას სათავეში კვლავ მონღოლი იოკოძუნა ასასიორუ უდგას. იმპერატორის თასის 15-გზის ამწევი „ცისფერი დრაკონი" იანვრის ბაშოზე შერცხვა და თასის დაბრუნება მარტში მოუწევს.

დიად მონღოლს კვალში ოთხი ოძეკი უდგას. მათ შორის ბულგარელი „გულივერი" კოტოოსიუ, შემდეგ კი ორი სეკივაკე და ორი კომუსუბი მოდიან.

ახალი სიები დაბალ დივიზიონებშიც შედგა. მაკუტის გზას ორი ქართველი ადგას და იანვრის ბაშოს შემდეგ ორივემ წინ წაიწია.

ლევან ცაგურიას უმცროსი ძმა გიორგი (ცუკასაუმი) მომავალ ტურნირს მეოთხე დივიზიონში იჭიდავებს. გაგა ჯულელი (გაგამარუ) კი — მეხუთეში.

მარტის ბაშო ქალაქ ოსაკაში გაიმართება 12-26 მარტს.

**ოთარ მაღლაკელიძე**

ბილიარდი

# მეორე თბილისური

**პულის სახეობა** რვიანის თბილისური პირველობის ჩამთავრების შემდეგ მობილიარდეებმა ცხრიანი გააჩაღეს, ასევე თბილისის პირველობა. სამდღიანი ტურნირი ბილიარდის კლუბ „უნივერსში" გუშინ დილით დაიწყო და ხვალ დასრულდება.

16-16 ქალი და კაცი ჩემპიონობისთვის ნახევრად ოლიმპიური სისტემით იბრძოლებს. ერთხელ წაგებულს ოქროს შანსი მაინც შერჩება. ახლო მომავალში ბილიარდის ფედერაცია თბილისის პირველობას კომბინირებულ პირამიდაშიც ჩაატარებს. ამ სამ ტურნირში თავგამოჩენილები მარტის ბოლოდან საქართველოს ჩემპიონატებსა და საერთაშორისო მაგიდებზე შეეცდებიან კარგად თამაშს.

**ოთარ მაღლაკელიძე**



# ქართველები უცხოეთში

# ბარაქიანი კვირეული

## ნაცვლიშვილმა ჰერბერტს ნაკრები დაუმტკიცა

**ხანგრძლივი** უქმობის შემდეგ ახლახან მოედანს დაბრუნებულ ვახტანგ ნაცვლიშვილს ნაკრებში თამაშზეც რომ დავეკითხეთ, გვიპასუხა: „საფრანგეთის ჩემპიონატის მომავალ ტურში პარიზში გორდონ ჰერბერტის „რასინგს" ვხვდებით და მას უნდა დავუმტკიცო, რომ ნაკრებშიც გამოსადეგი ვიქნები." ეს მომდევნო ტური გასულ შაბათს იყო, ნაცვლიშვილის „დიჟონმა" კი სტუმრად 79:75 დაამარცხა ჰერბერტის გუნდი და ქართველმა ფორვარდმა 13-წუთიანი ბურთაობა 7 ქულით, 6 მოხსნით და 2 პასით დაასრულა.

ნაცვლიშვილმა სიტყვა შეასრულა: მისმა გუნდმა მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა, ხოლო თავად ვატომ 13 წუთის კვალობაზე საკმაო შედეგიანობა გამოიჩინა, მოკლედ ჰერბერტს თავი აჩვენა.

ნაცვლიშვილის ჩაუქობა კარგი, მაგრამ გასულ კვირას ყველაზე შედეგიანი ვლადიმერ ბოისა გაჩნდათ, რომელსაც ბოლო მატჩებში არ უმართლებდა. მისმა „სიენამ" გუშინწინ სერია A-ს მორიგ ტურში რეჯიო კალაბრიას „ვიოლა" მიილო და 103:60 შემუსრა. ბოისასთვის ეს მატჩი იტალიურ კარიერაში ერთ-ერთი საუკეთესო გამოდგა. 26 წუთში მან 22 ქულა, 10 მოხსნა და 5 პასი მიითვალა, რას საკმარისი აღმოჩნდა, რითაც მატჩში ყველაზე მეტად გამოირჩა.

სართოდ, გასული კვირა ბარაქიანი გამოდგა ხუთჯვაროსნებისთვის. ჩვენი ნაკრების ამერიკელმა გამთამაშებელმა შემონდ უილიამსმა ევროლიგის მეორე ჯგუფურ ეტაპზე უმნიშვნელოვანესი ჯახი მოაგებინა „ბარსელონას". კატალონიელები კაუნასში „ჟალგირისს" ხვდებოდნენ და ტიტანურ ბრძოლაში ერთი ქულით, 86:85 დაამარცხეს.

შემონდ უილიამსი „ბარსელონას" ერთ-ერთი წინამძღოლი იყო: 26 წუთში 17 ქულა და 9 შედეგიანი გადაცემა მოიხვეჭა.

უილიამსი შედარებით მოკრძალებული იყო ესპანეთის ჩემპიონატში, „სან ფერნანდოსთან" მატჩში.

გამოირჩა მანუჩარ მარკოიშვილიც, ვისი „ოლიმპიაც" ადრიატიკის ლიგაში ფიცხელ ბრძოლაში ერთი ქულით დამარცხდა სერბულ „ვოევოდინასთან". ქართველ უკანახაზელს 28 წუთში 12 ქულა, 4 მახსნა და 2 პასი დაუგროვდა.

„ქართული დერბი" უნდა შედგარიყო ლიტვის A ლიგაში, სადაც საქართველოს ახალგაზრდული და კადეტთა ნაკრების წევრები თამაშობენ, თუმც- ტატო ვაშაკიძემ „პასვალიოს" შემადგენლობაში „აკადემიის" წინააღმდეგ კი ითამაშა, მაგრამ ლევან შენგელია აკადემიელთა განაცხადში არ შეიყვანეს. ვაშაკიძემ კი ამ უქმეების ორივე მატჩი თითქმის თანაბარი შედეგიანობით დაასრულა.

შედეგიანი კვირა ჰქონდა ნბა-ში მოთამაშე ზაზა ფაჩულიასაც, ოღონდ „დეტროიტთან" 4-ქულიანი ბურთაობა უნდა შევუნდოთ. სხვათა შორის, „პისტონზთან" მატჩში ქართველმა ცენტრმა ლამის ყბა მოიტეხა. ფარიდან ასხლეტილი ბურთისთვის ბრძოლაში სახეში რიპ ჰამილტონის იდაყვი მოხვდა და ხუთიოდ წუთი შეუძლოდ იყო.

მომდევნო ორი მატჩი კი ფაჩულიამ შედეგიანად ჩაატარა. „ინდიანასთან" სტუმრად მოგებულ ოვერტაიმიან ჯახში 11 ქულას 8 მოხსნაც მიაბა, ხოლო „მილუკისთან" წაგებულ შეხვედრაში 29 წუთში 17 ქულა ისე გამოჭედა, 7 საჯარიმო სროლიდან ერთიც არ აუცდენია.

**ირაკლი პერტაია**




ვლადიმერ ბოისამ „სიენაში" ერთ-ერთი საუკეთესო მატჩი ჩაატარა

| სახელი გვარი | გუნდი | ტურნირი | მეტოქე | სად | ანგარიში | წთ | ქ | მ | პ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ვლადიმერ ბოისა | სიენა | სერია A | რეჯიო კალაბრია | შ | 103:60 | 26 | 22 | 10 | 5 |
| მანუჩარ მარკოიშვილი | ოლიმპია | ადრიატიკის ლიგა | ვოივოდინა | ს | 91:92 | 28 | 12 | 4 | 2 |
| დავით უგრეხელიძე | პივოვარნა | ადრეატიკის ლიგა | ზაგრები | შ | 85:79 | არ უთამაშია | | | |
| შემონდ უილიამსი | ბარსელონა | ევროლიგა | ჟალგირისი | ს | 86:85 | 26 | 17 | 0 | 9 |
| | | ესპანეთის ჩემპ. | სან ფერნანდო | ს | 77:73 | 30 | 7 | 6 | 7 |
| ლევან შენგელია | აკადემია | ლიტვის I ლიგა | პასვალიო | ს | 84:87 | განაცხადში არ იყო | | | |
| | | | კაუნო | შ | 84:63 | განაცხადში არ იყო | | | |
| ტატო ვაშაკიძე | პასვალიო | ლიტვის I ლიგა | აკადემია | შ | 87:84 | 21 | 8 | 1 | 3 |
| | | | პერლასი | ს | 91:101 | 24 | 8 | 1 | 1 |
| ვახტანგ ნაცვლიშვილი | დიჟონი | საფრანგეთის ჩემპ. | რასინგი | ს | 79:75 | 13 | 7 | 6 | 2 |
| ზაზა ფაჩულია | ატლანტა | NBA რეგულარული ჩემპ | დეტროიტი | ს | 87:97 | 26 | 4 | 7 | 0 |
| | | | ინდიანა | ს | 117:112 | 34 | 11 | 8 | 2 |
| | | | მილუოკი | შ | 89:99 | 29 | 17 | 3 | 0 |
| ნიკოლოზ ცქიტიშვილი | ფინიქსი | NBA რეგულარული ჩემპ | ბოსტონი | შ | 103:94 | არ უთამაშია | | | |
| | | | შარლოტი | შ | 136:121 | არ უთამაშია | | | |

შენიშვნა: წთ — წუთი; ქ — ქულა; მ — მოხსნა; პ — პასი; ჩ — ჩაჭრა; ს — სტუმრად; შ — შინ; ნ — ნეიტრალური



ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP დუბაიდან

ჟუსტინ ენენ-არდენმა დუბაის ფინალში მარია შარაპოვას აჯობა

# არაბული ქარი და მტკიცე ნერვები

**WTA**
დუბაი. არაბეთის გაერთიანებული საემიროები
თიხნარი
საპრიზო 1 000 000 $

**ფინალი**

**ჟუსტინ ენენ-არდენი** (ბელგია, 4) — მარია შარაპოვა (რუსეთი, 3) — 7:5 6:2

გასულ უქმეებზე რამდენიმე ტურნირი დამთავრდა. ამათგან ყველაზე დიდ ინტერესს დუბაის პირველობა იწვევდა, რაკი აქ ყველაზე სოლიდური საპრიზო ფონდი იყო და თან ძლიერმა შემადგენლობამაც მოიყარა თავი.

წლეულს ქალთა ჩოგბურთი ერთობ საინტერესო და დაძაბულ ბატალიებს გვპირდება. დღესდღეობით არსებობს 6-7 ჩოგბურთელისგან შემდგარი ჯგუფი, რომლებიც ყოველთვის უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვიან და მათ შორის ფავორიტის გამორჩევა სულ უფრო ძნელი ხდება.

აგერ, დუბაიშიც ჯერ კიდევ მეოთხედფინალში 5 ყოფილი პირველი ჩოგანი შეიყარა, რამაც ტურნირი ძალიან საინტერესო საცქერი გახადა.

ფინალი კი ისეთი იყო, რომ „დიდი მუზარადის" ნებისმიერ ტურნირს დაამშვენებდა — მარია შარაპოვა ჟუსტინ ენენ-არდენის წინააღმდეგ.

შეხვედრა ძალიან დაძაბულად და პრინციპში თანაბრად წარიმართა. მართალია, ენენს მოსაგებად მხოლოდ ორი სეტი ეყო, მაგრამ ბელგიელმა კორტზე მაინც თითქმის ორი საათი გაატარა. შარაპოვამ კი წაგება საკუთარ თავს დააბრალოს, რადგან მთელი მატჩის განმავლობაში არაფერს უთმობდა თავის მოწინააღმდეგეს, მაგრამ ორჯერ დაკარგა კონცენტრაცია, რაც მორიგ წაგებულ ფინალად დაუჯდა.

რუსს პირველი სეტი 5:3 მიჰყავდა, როცა რამდენჯერმე გაუმართლებლად იჩქარა და დაისაჯა კიდეც — ენენმა ზედიზედ ოთხი გეიმი აიღო და პირველი სეტიც მოიგო. თითქმის იგივე განმეორდა მეორე პარტიაშიც — 2:2-ზე ბელგიელმა კიდევ ერთი ოთხგეიმიანი სპურტი მოაწყო და მესამედ შეძლო დუბაიში გამარჯვება.

„ძნელი გამარჯვება იყო... მარიამ მართლაც კარგად ითამაშა და თავიდან ძალიან გამიჭირდა. იძულებული ვიყავი, მომემატებინა, თორემ წავაგებდი. განსაკუთრებით ის დამეხმარა, რომ გრძელი გათამაშებების დროს ვცდილობდი, არ მეჩქარა, მარიამ კი ვერ გაძლო და შეცდომებიც დაუშვა. მგონი, მაყურებელი ნასიამოვნები დარჩა... ეს გამარჯვება ძალიან მჭირდებოდა, თვითრწმენას შემმატებს" — განაცხადა 23 წლის ბელგიელმა, რომელსაც დუბაიში 2003 და 2004 წლებშიც უმარჯვია.

შარაპოვამ კი, ძალიან იმედგაცრუებული ვარ, მაგრამ ჟუსტინი ამ შემთხვევაში ჩემზე ძლიერი იყოო.

ამ გამარჯვების შემდეგ ენენმა რეიტინგში შარაპოვას ადგილი გაუცვალა — ბელგიელი მეოთხეზე ადზევდა, რუსი კი მეხუთეზე ჩამოქვეითდა. გარდა ამისა, ენენი დუბაის ტრიუმფის შემდეგ მე-14 ქალი ჩოგბურთელი შეიქნა, რომელიც საპრიზოთა ხვეჭაში 10 მილიონს ასცდა.

18 წლის შარაპოვამ კი ამ ფინალის შემდეგ 5-მილიონიან ზღვარს გადააბიჯა.

**კახა ლომაშვილი**

**ATP**
მემფისი. აშშ
ჰარდი
საპრიზო 690 000 $

**ფინალი**

**ტომი ჰაასი** (გერმანია, 6) — რობინ სოდერლინგი (შვედეთი) — 6:3 6:2

**ATP**
როტერდამი. ჰოლანდია
ჰარდი
საპრიზო 925 000 $

**ფინალი**

**რადეკ შტეპანეკი** (ჩეხეთი, 6) — კრისტოფერ როხუსი (ბელგია) — 6:0 6:3

**ATP**
კოსტა დე საუიპე. ბრაზილია
ჰარდი
საპრიზო 380 000 $

ფინალი

**ნიკოლას მასუ** (ჩილე, 7) — ალბერტო მარტინი (ესპანეთი, 6) — 6:3 6:4

**WTA**
მემფისი. აშშ
ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**ფინალი**

**სოფია არვიდსონი** (შვედეთი, 3) — მარტა დომაჩოვსკა (პოლონეთი, 7) — 6:2 2:6 6:3

**WTA**
ბოგოტა. კოლუმბია
ჰარდი
საპრიზო 175 000 $

**ფინალი**

**ლურდეს დომინგეს-ლინო** (ესპანეთი) — ფლავია პენეტა (იტალია) — 7:6 6:4

# F1 სამეფო რბოლების ლეგენდა 16

## ბრიუს მაკლარენი



დაიბადა 1937 წლის 30 აგვისტოს ოკლენდში (ახალი ზელანდია)
ფორმულა 1-ში გამოდიოდა 1958-1970 წლებში
1960 წლის მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი (8 რბოლა, 1 მოგება, 34 ქულა)
1962 და 1969 წლებში – მესამე პრიზიორი
მოიგო 4 დიდი პრიზი: აშშ-ის (1959), არგენტინის (1960), მონაკოს (1962) და ბელგიის (1968)
101 რბოლა, 27 (4+11+12) პოდიუმი, 3 უსწრაფესი წრე, 196,5 ქულა
გუნდები: „კუპერ-კლიმა" (1958-65), „მაკლარენ-ფორდი" (1966, 1968-70), „მაკლარენ – **BRM**" (1967), „იგლ-ვისლეიკი" (1967)
1963 წელს შექმნა საფორმულო გუნდი „ბრიუს მაკლარენ მოტორ რეისინგი"
დაიღუპა 1970 წლის 2 ივნისს გუდვუდში (ინგლისი) სპორტპროტოტიპ „მაკლარენ კანამ"-ის გამოცდისას

*1970 წელი გამორჩეულად ტრაგიკული იყო ფორმულა 1-ის ისტორიაში. სამ თვეში „სამეფო რბოლების" სამი სუპერმძღოლი დაიღუპა — 32 წლის ახალზელანდიელი ბრიუს მაკლარენი, 28 წლისანი — ინგლისელი პირს კარიჯი და ავსტრიელი მსოფლიოს ჩემპიონი იოხენ რინდტი.*

*მაკლარენი ერთადერთია 40 დაღუპულ პილოტთა სიაში, რომელიც თავისივე კონსტრუქციის მანქანამ იმსხვერპლა.*

*უნიჭიერესი პიროვნება, ბრიუსი ხასიათითაც გამორჩეული იყო — რბილი, გაწონასწორებული, განუყრელი თბილი ღიმილით. წარმატებული მრბოლი, აღიარებული კონსტრუქტორი, ტაქტიანი ადმინისტრატორი ყველას უყვარდა. იგი კოლეგა-მეტოქეებს პატივისცემით ეპყრობოდა ტრასაზეც და მის გარეთაც, შეჯახებისას სხვას არასდროს ადანაშაულებდა. როგორც თანამედროვეები ამბობდნენ, რაოდენ დაუჯერებელიც უნდა ჩანდეს, ბრიუს მაკლარენს ერთი მტერიც არ ჰყოლია*

თავიდან ექიმებს ეგონათ პოლიომიელიტი, რომელიც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ არა მხოლოდ ახალ ზელანდიაში მძვინვარებდა. საბედნიეროდ, შიში არ გამართლდა, თუმც დიაგნოზი მაინც მძიმე იყო — ცხრა წლის ბრიუსს მეტად იშვიათი, პერტის დაავადება შეჰყროდა.

ეს მაშინ მოხდა, როდესაც მოუსვენარმა ბიჭმა ფეხი დაიშავა. სად, ვერ გაიგეს. იქნებ მაშინ, როცა ბიძამისის ფერმაში ცხენიდან გადმოვარდა, ან ურიკით ფერდობიდან დაშვებისას დაეცა, ანდა რაგბის თამაშის დროს. იგი ხომ სკოლის მორაგბეთა გუნდის კაპიტანი იყო.

ახლა ითვლება, რომ პერტის დაავადება აქტიურ მკურნალობას არ საჭიროებს. იმ შორეულ 1947 წელს კი ბიჭუნა საავადმყოფოში დააწვინეს და ფეხი რამდენიმე თვით თაბაშირში ჩაუჭედეს. ბრიუსმა სამი წელიწადი ფიზიკური გადახრების მქონე ბავშვთა ინტერნატში გაატარა, მერე ერთი წელი შინ მეცადინეობდა და მხოლოდ 14 წლისა დაბრუნდა სკოლაში.

მარცხენა ფეხი, ეტყობა, არასწორი მკურნალობის შედეგად, ოთხი სანტიმეტრით დაუმოკლდა. ექიმებმა რაგბი, ფეხბურთი და საერთოდ, კონტაქტიანი თამაშები აუკრძალეს. ასე რომ, მაკლარენი გამოეთხოვა ოცნებას, გამხდარიყო „შავების" — ახალი ზელანდიის მორაგბეთა ნაკრების კაპიტანი. მაგრამ სპორტზე ხელი არ ჩაუქნევია და ნიჩბოსნობას გაჰყვა.

მამამისმა, ავტოსახელოსნოს მფლობელმა და მოყვარულმა მრბოლმა, ძველი ინგლისური „ოსტინ-7" შეიძინა და მისგან მშვენიერი, 26 ცხენისძალიანი სიმძლავრის სარბოლო აპარატი დაუმზადა. ეს ბრიუსის პირველი მანქანა იყო. 15 წლისამ მართვის მოწმობა მიიღო და რამდენიმე დღეში პირველ რბოლაშიც გამოვიდა. მალე გამარჯვებასაც გაუგო გემო და არაერთი მნიშვნელოვანი რბოლა მოიგო ავსტრალიასა და და ახალ ზელანდიაში.

ექვსი წლის შემდეგ ახალი ზელანდიის ავტორბოლის ასოციაციამ მაკლარენი, როგორც ქვეყნის ყველაზე ნიჭიერი ახალგაზრდა პილოტი, სტიპენდიით დააჯილდოვა და ევროპაში დასაოსტატებლად გააგზავნა. ამ დროს იგი უკვე დიპლომირებული ინჟინერი იყო — ოკლენდის უნივერსიტეტი დაამთავრა ხიდების მშენებლის სპეციალობით.

ბრიუსს „ბებერ კონტინენტზე" გაუმართლა. თავისი კერპისა და უფროსი მეგობრის, ავსტრალიელი „ასის" ჯეკ ბრებემის მხარდაჭერით იგი იმ დროისთვის საუკეთესო საფორმულო გუნდში — „კუპერში" აიყვანეს და იმავე წელს ორი, ასე ვთქვათ, საცდელი რბოლაც ჩაატარა. 21 წლის კივის ქვეყნელს თავი არც დაუზოგავს და არც შეურცხვენია, სადებიუტო გასვლა 1958 წლის 3 აგვისტოს უსაშინლეს, ნიურბურგის ტრასაზე ფრიად საპატიო, მეხუთე ადგილით აღნიშნა და ჯონ კუპერიც დაარწმუნა, რომ არჩევანში არ შემცდარა.

მაკლარენმა უკვე მომდევნო სეზონში, თავის მხოლოდ მეცხრე რბოლაში შეძლო გამარჯვების მოპოვება, რაც უიშვიათესი ამბავია. ეს მოხდა 1959 წლის 12 დეკემბერს აშშ-ის პირველი დიდი პრიზის გათამაშებაში. ეტაპი ფლორიდაში, სებრინგის აეროდრომის ტერიტორიაზე მოწყობილ ტრასაზე შედგა.

უცნაური რბოლა გამოვიდა. დასაწყისიდანვე ლიდერობდა კვალიფიკაციაში საუკეთესო, ინგლისელი სტირლინგ მოსი, მაკლარენმა კი მეათე პოზიციიდან დაიწყო. მოსი უკვე მეხუთე წრეზე გამოეთიშა ბრძოლას სიჩქარეთა კოლოფის მოშლის გამო. მეწინავეობა ბრებემს ერგო და მოგებაც თითქოს განაღდებული ჰქონდა, მაგრამ ზედ ფინიშის წინ ავსტრალიელს საწვავი გაუთავდა და ყველასთვის მოულოდნელად გამარჯვება მაკლარენმა მოიპოვა.

ამ სენსაციური წარმატებით ბრიუსი ფორმულა 1-ის ისტორიაში რბოლის ყველაზე ახალგაზრდა მოგები გახდა. „სებრინგზე" ტრიუმფისას იგი მხოლოდ 22 წლის, სამი თვის და 13 დღის იყო. ამ რეკორდმა 44 წელი გაძლო. 2003 წელს უნგრეთში გამარჯვებით ესპანელმა ფერნანდო ალონსომ ახალზელანდიელის მიღწევას 78 დღე ჩამოაჭრა.

1959 წელს ჩემპიონობა ბრებემმა მოიპოვა. მაკლარენიც გუნდს მეექვსე ადგილით შეეშველა და კუპერის ყველაზე მაღლა აფრენილმა „ჭიამაიებმა" კონსტრუქტორთა თასიც დაისაკუთრეს.

„კუპერი" თითქოს მართლაც წააგავდა ამ ლამაზ მწერს. მომცრო ზომის, ამოზნექილზურგიანი მანქანები — მიუხედავად იმისა, რომ სულ რაღაც 250 ცხენის ძალის მქონე „კლიმას" ძრავები ედგათ — მკვირცხლებიც იყო, საიმედოც და რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, იაფი.

მძღოლები პროფესიონალებად კი ითვლებოდნენ, მაგრამ გასამრჯელოდ გროშებს იღებდნენ. მაკლარენს თანხა მხოლოდ საიმისოდ ჰყოფნიდა, რომ ჯამაგირად ექვსი გირვანქა გადაეხადა თავის მექანიკოს-მენეჯერის, სკოლის მეგობარ. ფილ კერისთვის.

ახალგაზრდებს დაქირავებული ჰქონდათ ერთოთახიანი, საერთო აბაზანიანი ბინა. ფული საჭმელზე ძლივს ჰყოფნიდათ. მხოლოდ კვირაში ერთხელ სადილობდნენ ნორმალურად — ოთხშაბათობით, რბოლა-ვარჯიშისგან თავისუფალ დღეს მათ ბეტი და ჯეკ ბრებემები შინ პატიჟებდნენ.

არასაჩემპიონატო, კომერციულ რბოლებში წარმატებებმა ბრიუსს ფინანსური მდგომარეობა გამოუკეთა, რამაც საშუალება მისცა, ოროთახიანი ბინა ეყიდა. და როგორც იქნა, დაოჯახებაც გადაწყვიტა. ცოლად თანამემამულე პეტი ბროუდი მოიყვანა, რომელიც სამი წლით ადრე გაიცნო.

1960 წელი ყველაზე წარმატებული გამოდგა მაკლარენის 13 სეზონიან კარიერაში. არგენტინაში პირველივე, გახსნის ეტაპი მოიგო, მერე ხუთი პოდიუმიც მიაყოლა და თავის მხოლოდ მეორე სრულ ჩემპიონატში მეორე ადგილზე გავიდა ბრებემის შემდეგ.

ეს უდიდესი წარმატება იყო და ნათელი გახდა, რომ საფორმულო ცაზე ახალი ვარსკვლავი ამობრწყინდა. მაგრამ 1962 წელს მესამე ადგილის შემდეგ საქმეები უკანუკან წაუვიდა. კუპერმა ალღო ვერ აუღო შეცვლილ ტექრეგლამენტს და მაკლარენიც აბა, რას გახდებოდა თითქმის 100 ცხენის ძალით ჯანიან კონკურენტებთან ჭიდილში. შედეგად, მომდევნო სამ სეზონში აღარც ერთი მოგება და მეექვსე, მეშვიდე, მეცხრე ადგილები.

ამ წარუმატებლობას ნაწილობრივ თავად ბრიუსსაც აბრალებდნენ, რბოლისას ხასიათის სიმტკიცე, აგრესიულობა აკლიო. ვერც ჯანმრთელობა ჰქონდა უნაკლო. ხანგრძლივი ჯირითის ბოლოს ბავშვობაში დაშავებული ფეხი ახსენებდა თავს, თანაც ცალი თვალით ცუდად ხედავდა. ამის გამო რბოლისწინა სამედიცინო შემოწმების დროს კედელზე ტაბულის კითხვისას ექიმებს ატყუებდა — სუსტ თვალზე ჯერ მარჯვენა ხელს იფარებდა, მერე მარცხენას.

1965 წელს მაკლარენმა „კუპერი" დატოვა და ორი წლის წინ შექმნილ საკუთარ გუნდ „ბრიუს მაკლარენ მოტორ რეისინგით" დაიწყო გამოსვლა. ბუნებრივია, თავიდან გაუჭირდა, მაგრამ თანდათან საქმე აეწყო და თანამემამულე დენი ჰალმთან ერთად 1968 წელს სამი დიდი პრიზის მოგებით კონსტრუქტორთა თასზე ვიცე-ჩემპიონობა მოიპოვა.

ბრიუსი სხვა ფრონტებზეც ცდიდა ძალებს. 1966 წელს საფრანგეთში, ლე მანის 24-საათიანი ზემარათონი მოიგო, ორჯერ გაიმარჯვა კანადა-ამერიკის პრესტიჟულ სერიაში, რის შემდეგაც „კანამ-ის მეფე" უწოდეს.

ორიოდ წელიწადში კი ყველაფერი დამთავრდა. 1970 წლის ორ ივნისს მაკლარენი ლონდონიდან ასიოდე კილომეტრით დაშორებულ გუდვუდის ავტოდრომზე მივიდა, რათა სპორტპროტოტიპის ახალი მოდელი გამოეცადა. წინა დღით იგი აშშ-დან, დაბრუნდა, სადაც მისი გუნდი ინდიანაპოლისის 500-მილიან ლეგენდარულ რბოლაში მონაწილეობდა. 32 წლის ბოსი ახალი იდეებით იყო აღსავსე, პილოტის კარიერის დასრულებას აპირებდა, რომ საჯინიბოს საქმეებისთვის მეტი ყურადღება დაეთმო.

საათნახევრიანი ტესტების მიწურულს 670-ცხენისძალიან „მაკლარენ M8D"-ს უზარმაზარ სიჩქარეზე უკანა ფრთა მოტყდა და გზააბნეული, ტრასიდან გავარდნილი „სპილო" ფინიშისწინა მოსახვევში ბეტონის ბარიერს მიეხეთქა. როცა მექანიკოსებმა და მაშველებმა დალეწილ ბოლიდთან მიირბინეს, ბრიუსი უკვე მკვდარი იყო.

„ძალიან ხშირად რომელიმე ჩვენგანს საკუთარი სიცოცხლის ფასად უჯდება სურვილი, სხვებზე ოდნავ მაინც სწრაფი იყოს და ისიც, რომ უბრალოდ არახელსაყრელ მომენტში არახელსაყრელ ადგილზე აღმოჩნდა — თქვა ბრიუს მაკლარენმა ორი წლით ადრე, მსოფლიოს ორგზის ჩემპიონ ჯიმ კლარკის დაღუპვისას — ჩვენ არაფრის შეცვლა არ შეგვიძლია და ამას ვიღებთ, როგორც აუცილებლობას. მეტიც, ჩვენი სამუშაო უდიდეს სიამოვნებას გვანიჭებს."



„მაკლარენი", რომელმაც მაკლარენი შეიწირა



გია ახალაძე

ეროვნული ბიბლიოთეკა




# თაღლითობა და პატიოსნება სკანდინავიურად

## კანადელები კი გაპარვას აპირებენ

**ტურინის ოლიმპიადია** სხვათაგან გამორჩეულია თავისი მოულოდნელობებით. სხვა სახეობების დარად არც ჰოკეის ტურნირი წარიმართა მთლად პროგნოზების შესაბამისად.

პირველივე დღიდან რომ აირია ყველაფერი, ბოლო მატჩამდე სენსაცია სენსაციას ენაცვლებოდა. ვინ წარმოიდგენდა, თუ „ოქროს" ორი სკანდინავიური გუნდი გაითამაშებდა. არა, ფინეთისა და შვედეთის გუნდები სავსებით იმსახურებდნენ ამას. ორივე საკმაოდ ძლიერი და პატივსაცემი ქვეყანაა ჰოკეის სამყაროში, წარმატებებიც არ აკლდათ, მაგრამ ერთდროულად ორივე გუნდის ფინალში გასვლა მაინც მოულოდნელი იყო. მით უმეტეს, რომ ორივე სკანდინავიურ ნაკრებს ტურინამდე ფავორიტთა შორის ყველაზე მეტი პრობლემა ჰქონდა, თანაც მთავარ სამეკარეო პოზიციაზე...

კარგა ხანია, შვედებს ხეირიანი გოლკიპერი არ ჰყავდათ. მართალია, წლეულს ჰენრიკ ლუნდკვისტმა ჩინებული დებიუტი გამართა ნჰლ-ში, მაგრამ მას ხომ დიდი ტურნირების არანაირი გამოცდილება არ ჰქონდა. თავის მხრივ, ფინელები უშუალოდ ტურნირის დაწყებამდე რამდენიმე დღით ადრე დარჩნენ მიიკა კიპრუსოფის გარეშე. „კალგარის" მეკარემ ყველა გააოცა თავისი უარით. თან იმავე დღეებში დაშავდა №2 ფინელ მეკარედ მიჩნეული კარი ლეჰტონენი და „სუომი" ანტერო ნიიტიმიაკის იმედზეღა დარჩა. ის ბოლო მომენტში შეიყვანეს ნაკრებში. უნდა ითქვას, რომ ნიიტიმიაკიმ არა მხოლოდ გაამართლა იმედები, არამედ საუცხოო თამაშით ტურნირის საუკეთესო მოთამაშის ტიტულიც კი მოიპოვა. თუმცა მხოლოდ ნიიტიმიაკი რას გააწყობდა ამდენი მრისხანე გუნდის წინააღმდეგ, ყველა მოთამაშეს რომ არ ეჩვენებინა უმაღლესი კლასი.

გულახდილად რომ ვთქვათ, სწორედ, „ფინეთის" ნაკრებმა დატოვა სხვებზე კარგი შთაბეჭდილება თავისი კაშკაშა თამაშით, ყოველგვარი ტაქტიკური გაანგარიშებების გარეშე. ფინელებს პირველიდან ბოლო მატჩამდე არ დაუზოგავთ ძალები. ხუმრობაა, ფინალამდე მხოლოდ მათ ჰქონდათ ექვსივე მატჩი მოგებული.

აი, შვედებმა კი აშკარად „ითაღლითეს" პირველ ეტაპზე. არცთუ ისე დამაჯერებლად თამაშობდნენ, ჯგუფური ეტაპის ბოლო მატჩში კი შეგნებულად წააგეს სლოვაკებთან, რათა მეოთხედფინალში ყველაზე სუსტ მეტოქეს, შვეიცარიას შეხვედროდნენ. სხვა დროს ღმერთი სჯის ხოლმე ასეთ ქმედებას, მაგრამ ამჯერად შეიბრალა შვედები და დაასაჩუქრა კიდეც. ისე, „ტრე კრუნურის" სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პლეი ოფში სულ სხვა შვედეთი წარდგა მაყურებლის წინაშე. ასეთი დამაჯერებელი და შემტევი ჰოკეი „ვიკინგებს" კარგა ხანია არ უჩვენებიათ. თანაც ისინი მეტოქეს ძალიან ოსტატურად ახვევდნენ თავიანთ ტაქტიკას და ტემპის დაგდების ხარჯზე წარმართავდნენ საფირმო კომბინაციებს.

აღსანიშნავია ისიც, რომ შვედეთი ამჯერად უჩვეულოდ დაბალანსებული იყო. აქამდე სკანდინავების ყველა წარმატებას წამყვანი მოთამაშეები განაპირობებდნენ, მაგრამ ამჯერად მთელმა გუნდმა შეიტანა წვლილი გამარჯვებაში. მაგალითად, ნახევარფინალურ მატჩში ჩეხებთან სუნდინისა და ფორსბერგის პირველმა ტრიომ მხოლოდ პირველი შაიბა მიითვალა, ხოლო დანარჩენი ექვსი სხვა სამეულებმა გაინაწილეს. ფინალშიც მთავარი წვლილი გამარჯვებაში ჰენრიკ ზეტერბერგის „დეტროიტულმა" ხაზმა შეიტანა. იგივე ფინელები ვერ დაიკვეხნიდნენ შემადგენლობის ასეთი „სიღრმით". ფაქტობრივად, მთელი ოლიმპიადის განმავლობაში ლიდერობის ტვირთი საკუ კოივუსა და ტეემუ სელიანეს დუეტმა ზიდა და მხოლოდ ბოლო მატჩებში ათამაშდა ოლი იოკინენის სამეული. ისე, ძალიან საწყენია, ფინელთა ლიდერების კარიერა დალმა მიექანება ისე, რომ მათ დიდ წარმატებას ვერ მიაღწიეს. კოივუს მაინც აქვს ერთი მსოფლიოს ჩემპიონობა აქტივში (მართალია, მაშინ 1995 წელს პირველობა ნჰლ-ს გარეშე გაიმართა), აი, სელიანეს კი ეს მედალიც არ მოეპოვება.

შვედების და ფინელების ესოდენ დიდი უპირატესობა პლეი ოფში ასევე ტურნირის ერთ-ერთი მოულოდნელობა გახლდათ. ვერავინ წარმოიდგენდა, რომ სკანდინავები ასე იოლად გაუმკლავდებოდნენ მეტოქეებს ნახევარფინალებში, მითუმეტეს, რომ ფინელებს კანადასთან გამარჯვების შემდეგ ეიფორიაში ჩავარდნილი რუსეთი დაეჯახა. თუმცა „სუომელებმა" ტურნირზე საუკეთესო მატჩი ჩაატარეს სლავებთან და არანაირი შანსი არ დაუტოვეს მეტოქეს, რომელიც 1993 წლიდან ოცნებობს რაიმე დიდი ტურნირის მოგებას.

რუსებმა ერთი-ორი შთამბეჭდავი მატჩი მაინც გვაჩვენეს — მაგალითისთვის შვედებთან პირველ ეტაპზე 5:0 გამარჯვება და კანადის ძლევაც საკმარისია. აი, ჩეხებმა და განსაკუთრებით კანადელებმა კი თავიდან ბოლომდე უღიმღამოდ ითამაშეს. პირველ ეტაპზე თითქოს ეს სატურნირო სტრატეგიით იყო განპირობებული, მაგრამ არც პლეი ოფში აჩვენეს ამ გუნდებმა შესაფერისი კლასი. თუმცა ამის ანალიზისა და ახსნისაგან ჯერჯერობით თავს შევიკავებთ, ვინაიდან სულაც არაა გამორიცხული, რომ კანადელები ნელნელა კარგავდნენ ინტერესს ოლიმპიადებისადმი. კულუარებში უკვე ჩურჩულებენ, რომ არ არის გამორიცხული, 2010 წელს კანადის ვანკუვერში გასამართმა ოლიმპიადამ ნჰლის ვარსკვლავების გარეშე ჩაიაროს.

**სამველ ლარიბიანი**

**ტურნირის MVP:** ანტერო ნიიტიმიაკი (ფინეთი)

**საუკეთესო მოთამაშეები**

მეკარე — ანტერო ნიიტიმიაკი (ფინეთი)

მცველი — კენი იუნსონი (შვედეთი)

ფორვარდი — ტეემუ სელიანე (ფინეთი)

**ტურნირის სიმბოლური გუნდი**

ანტერო ნიიტიმიაკი (ფინეთი); ნიკლას ლიდსტროიმი (შვედეთი) — კიმო ტიმონენი (ფინეთი, ტეემუ სელიანე (ფინეთი) — საკუ კოივუ (ფინეთი) — ალექსანდრ ოვეჩკინი (რუსეთი)

**ბომბარდირები:** სელიანე 11(6+5) კოივუ (ორივე ფინეთი) 11(3+8) ალფრედსონი (შვედეთი) და მარ. ჰოსა (სლოვაკეთი) 10(5+5), პელტონენი (ფინეთი) 9(4+5), იოკინენი (ფინეთი) 8(6+2), სუნდინი (შვედეთი) და ლეჰტინენი (ფინეთი) 8(3+5), სტრაკა (ჩეხეთი) 8(2+6), დაციუკი (რუსეთი) 8(1+7)

# ეს ხომ ჩემი ბიჭია!

**52 წლის** კორეელი კიმ ჩჟე სუ ირწმუნება, 1981 წელს პუსანში ცოლთან ერთად მალაზიებში რომ დავდიოდი, ბაზრის სიახლოვეს ვაჟიშვილი დავკარგეო! ახლა კიმ ჩჟე სუმ, როცა ტურინის ოლიმპიურ თამაშებს ტელეეკრანით თვალს ადევნებდა, მოულოდნელად მოგულში საპატიო კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე ასულ ამერიკელ ტობი დოუსონში... საკუთარი ვაჟიშვილი ამოიცნო.

დოუსონი, რომელიც ახლა 27 წლისაა, ამერიკელმა ცოლ-ქმარმა 1982 წელს იშვილა. მანამდე ტობი სეულში ერთ-ერთ საბავშვო სახლში ცხოვრობდა და არც კი იცოდა, თუ ვინ იყო თავისი დედ-მამა. დებორა და მაიკ დოუსონები, რომლებიც კოლორადოს შტატში სამთო თხილამურების ინსტრუქტორები არიან, ამბობენ, 3 წლის ბავშვი მისმა მშობლებმა მიატოვესო. მათ ისიც თქვეს, როცა კორეიდან ჩამოვიყვანეთ, იგი მძიმედ ტრავმირებული ჩანდაო. ამასთან, როგორც სამხრეთ კორეის საინფორმაციო სააგენტო იონჰაპი იუწყება, ბავშვი სწორედ იმ ბაზართან იპოვეს.

თავად ტობის, როგორც ვთქვით, არაფერი ახსოვს და ამბობს, რომ არა ჩემი მორცხვობა, რომელსაც მთელი ბავშვობის განმავლობაში განვიცდიდი, სპორტულ წარმატებებს ვერ მივაღწევდიო:

„სპორტში მე მუდამ აქტიური ვიყავი, ყველა დანარჩენ საქმიანობაში კი საშინლად ვმორცხვობდი."

ახლა კიმ ჩჟე სუ ირწმუნება, ეს ბიჭი ძალიან გავს ჩემს შვილსო. ასევე ფიქრობენ კი ჩჟე სუს ნათესავებიც, ტობი დოუსონს რომ ვუყურებთ ზედგამოჭრილი ჩვენი დაკარგული ნათესავიაო.

„როცა ტობი დოუსონი გაზეთებში ვნახე, ჩემთვის გავიფიქრე, უეჭველია, ეს სწორედ ის არის, ვინც 24 წლის წინათ დავკარგე-მეთქი" — ამბობს კიმი ერთ-ერთ ინტერვიუში.

კიმი იმასაც ამბობს, რომ შვილის დაკარგვის თაობაზე პოლიციაში არ განვაცხადე, რადგან ვფიქრობდი, ხელისუფალნი ვერაფრით დამეხმარებიან-მეთქი და თავად დავიწყე შვილის ძებნაო, ახლა კი მზად ვარ ჩემი მამობა დავამტკიცო, მათ შორის დნმ-ს ტესტების საშუალებითაცო.



ამერიკელი ფრისტაილერი ტობი დოუსონი (მარჯვნივ) თურმე სულაც არ ყოფილა ამერიკელი

ეროვნული ბიბლიოთეკა



AFP ტურინიდან

# ვანკუვერში ვნახავთ



AFP ტურინიდან

ჩაისრიალა ზამთრის მე-20 ოლიმპიურმა თამაშებმაც და დაიხურა თოვლის ქუდი. ტურინში და პიემონტური ალპისპირა დაბა-სოფლებში ყველაფერი იტალიურად კოხტად და ლამაზად გამოვიდა. ზოგიერთ ფერდობს იქნებ თოვლი აკლდა, მაგრამ თავად ოლიმპიადამ სანსაცია-სანახაობა ნაღდად არ მოისაკლისა და ხელმოცარულ ან დოპინგით მამაძაღლობებში მხილებულ სპორტსმენებს თუ დავივიწყებთ, სხვები ალბათ კარგა ხანს ვერ დაივიწყებენ 2006 წლის 10-26 თებერვალს. იტალიის პრემიერ-მინისტრმა სილვიო ბერლუსკონიმ დახურვისას დასდო პატივი და მხარი დაუმშვენა სოკის პრეზიდენტ ჟაკ როგს. ეს პირვაუპარსავი ოქროსმედალოსანი კი ვინმე ჰოკეის „პოლიციელი“ არ გეგონოთ, ჩემპიონ შვედთა ვარსკვლავთ-ვარსკვლავი პეტერ ფორსბერგი გახლავთ, ვისთვისაც ეს ოლიმპიადა იქნებ ბოლოც გამოდგეს. და როგორი იქნება 2010 წლის ვანკუვერის ოლიმპიადა? მოვიცადოთ ოთხი წელი...







AFP ტურინიდან


სარბიელი

სპორტული გაზეთი

გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან

გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: დავით თავართქილაძე, კობა ინასარიძე, ილია ნანობაშვილი, გიორგი ნოზაძე
უცხოური ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი: ვაჟა ხუციშვილი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: ირაკლი ფირაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მალლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, თამაზ გოგებაშვილი, ფატი დვალიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი

სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00



რედაქციის მისამართი: თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, II კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი: თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია http://www.sarbieli.com.ge